ახალი გაზეთლება

2015 წელი, 30 აპრილი – 6 მაისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№16 (690) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში ახალი სკოლა აშენდა.

სამღერეთი ისტორიული სოფელია, 25 წელია რაც აქ აჭარელი ეკომიგრანტები დასახლდნენ, შესაბამისად, სკოლა ქართულენოვანია. ამჟამად სკოლაში 100 მოსწავლე სწავლობს, მათგან 12 ადმინისტრაციულად შემოერთებულ შიხილოს აზერბაიჯანული დაწყებითი სკოლიდან დადის და მათ, 2013 წლის თებერვლიდან, სამინისტროს მიერ დანიშნული მიკროავტობუსი ემსახურებათ.

სოფელში დემოგრაფიული მდგომარეობა ზრდადია, შესაბამისად, ახალი სკოლა 150 მოსწავლეზეა გათვლილი. აქვს თანამედროვე გათბობის სისტემა, კლას-კაბინეტები თანამედროვე სასკოლო მერხებითა და დაფებით, სკოლა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის და აღჭურვილია სპეციალური პანდუსებით, აქვს სპორტული და სააქტო დარბაზები.

თანამედროვე სტანდარტების სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მოსწავლემ ისეთივე სრულყოფილი განათლება მიიღოს, როგორც ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაშია შესაძლებელი.

მეთორმეტეკლასელების გაცდენის ექსტერნი გამოცხადდა!

2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში მე-12 კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის და მეტის გაცდენის გამო ექსტერნის ფორმით დაძლევის გამოცდებზე რეგისტრაციის თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 29 აპრილიდან 2015 წლის 1 მაისის ჩათვლით პერიოდი.

გაცდენის ექსტერნის გამოცდები ჩატარდება 2015 წლის 5 მაისიდან 14 მაისის ჩათვლით.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, ხოლო გამოცდები ჩატარდება სკოლებში.

მოდულური სწავლების კიდევ ერთი ინოვაცია

გვერდი 2

პედაგოგთა დასახმარებლად

რას ნიშნავს საინფორმაციო ტექსტი /ლინგვისტური ანალიზი/

ქართული ენა

გვერდი 4

სასკოლო აქტივობა

გაზაფხული ილიმება

გვერდი 9

ერთიანი ეროვნული გამოცდების, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის განრიგი ცნობილია

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2 ივლისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება და 22 ივლისს ქიმიის გამოცდით დასრულდება.

გამოცდებში მაგისტრანტობის კანდიდატები 9 ივლისს ჩაერთვებიან. სტუდენტთა საგრანტო კონკურსი კი 20 ივლისს ჩატარდება.

19 საგამოცდო ცენტრი გაიხსნება ქალაქებში: ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თბილისი, რუსთავი, თელავი, ხულო.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის 40 000-ზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის 4 000-ზე მეტი აპლიკანტი, საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის კი 12 500-ზე მეტი მსურველი.

აბიტურიენტს საგანმანათლებლო პროგრამების მითითებისა თუ შეცვლის შესაძლებლობა კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში ექნება.

2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაგეგმილი სიახლეები:

- ✓ 2015 წლიდან არჩევითი საგნების ჩამონათვალს დაემატა სამოქალაქო განათლება.
- ✓ სიახლეა გეოგრაფიის გამოცდაშიც: ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო 2 საათი და 30 წუთი იქნება. ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 60, ნაცვლად 70 ქულისა.
- ✓ ისტორიის ტესტი 70-ქულიანი იქნება, ნაცვლად 80-ისა.

საკონტაქტო პირი: თეიკო ანჯაფარიძე
5 77 500 935

ინფორმაცია

ვირტუალური ლაბორატორია – მოდულური სწავლების კიდევ ერთი ინოვაცია

ლალი ჯელაძე

გაეროს განვითარების პროგრამა – პროექტი „უნარები დასაქმებისთვის - მე-2 ფაზა“ – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს ახალი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და მათ დანერგვაში. ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია მოდულების შესაბამისი სასწავლო მასალების შექმნა. გაეროს განვითარების პროგრამა მოდულური სწავლების პროცესში ინოვაციური მოდელების დანერგვას ცდილობს. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა ელექტრონული სწავლების განხორციელება ვირტუალური კომპიუტერული მოდელების გამოყენებით.

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, ელექტრონული სასწავლო მასალები შეიქმნა „ელექტრიკოსისა“ და „რძის გადამუშავების სპეციალისტის“ პროფესიებისთვის, რომლის რესურსების პრეზენტაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა.

ვირტუალური მოდელი ელექტრონულ სასწავლო ვირტუალურ ლაბორატორიას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია ქმედებების განხორციელება რეალური მოწყობილობის გარეშე. ვირტუალური ლაბორატორიის დახმარებით, სტუდენტი რეალური პროცესების მოდელირებას ახდენს. პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს ექნება ამა თუ იმ პროცესის ან მოვლენის პარამეტრების ცვლილებაში ჩარევის შესაძლებლობა და ამის შემდეგ, პროცესის ცვლილების ვიზუალური აღქმა. ვირტუალური ექსპერიმენტი რეალობასთან მაქსიმალურად იქნება მიახლოებული. ამავე დროს შესაძლებელი იქნება უხილავ მოვლენათა ვიზუალიზაცია. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს სტუდენტს, უფრო ღრმად ჩასწვდეს მოვლენათა არსს და თვითონ გახდეს ექსპერიმენტის თანამონაწილე.

პროგრამა თვალს ადევნებს გამოსაცდელი პირის მოქმედებათა მიმდევრობას დასმული ამოცანის გადაჭრისას. ამ პროგრამის ჩანაწერების განხილვისას იოლდება მოსწავლის ცოდნის ხარისხისა და კრეატულობის დადგენა.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„გაეროს განვითარების პროგრამა სამინისტროს ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესში, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. სწორედ ამ კუთხით აქტიურად ვთანამშრომლობთ მათ პროექტთან – „უნარები დასაქმებისათვის“, რომელიც სასწავლო მასალების შექმნასა და დანერგვაზეა კონცენტრირებული. მათ დღეს, ამ მიმართულებით, შემოგვთავაზეს უკვე შემუშავებული პროდუქტის პრეზენტაცია და ეს პროდუქტი გახლავთ ვირტუალური ლაბარატორია. ეს მართლაც ინოვაციური მიდგომაა პროფესიულ განათლებაში, რომელიც სასწავლო პროცესში კომპიუტერული მოდელირების გამოყენებას გულისხმობს, რაც სტუდენტს დაეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ცოდნის შეძენაში ვირტუალურად, საწარმოში გასვლამდე. ეს მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გარკვეულწილად რისკის მინიმიზაცია ხდება, ასევე, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების თვალსაზრისითაც და, რაც მთავარია, სრულადაა მორგებული სასწავლო პროცესზე. ამჟამად შემუშავებულია კომპიუტერული მოდელირება ორი პროფესიისთვის. სტუდენტს შეუძლია შევიდეს პროგრამაში და სრულად ნახოს პროცესი – ვირტუალურად შეასრულოს ამოცანები, რომელიც სიმულაციების სახითაა მოცემული და თუკი ის შეცდომას დაუშვებს, პროგრამა აუცილებლად აცნობებს ამის შესახებ. სხვადასხვა დონის სიმულაციებია მოცემული – სასწავლო პროცესის, პრაქტიკული გამოცდილების და ა.შ. რაც შეეხება დანერგვას, ჯერ კიდევ მიმდინარეობს ამ პროდუქტის დამუშავება. უახლოეს პერიოდში ერთობლივად დავიწყებთ პედაგოგების გადამზადებას ამ მიმართულებებით. პრინციპში, ელექტრიკოსისა და რძის ნაწარმის სპეციალისტის პროგრამები უკვე შეგვიძლია გავიტანოთ და მოვსინჯოთ, თუ როგორ მიიღებენ პედაგოგები ამ მეთოდოლოგიას. ამის შემდეგ კი, შესაძლებელი გახდება სასწავლო პროცესში დანერგვა. რაც შეეხება ამ ორ მიმართულებას, ამ პროფესიების სწავლებას მთელი რიგი პროფესიული სასწავლებლები ახორციელებენ.“*

ამ მოდელის გამოყენებას მთელი რიგი უპირატესობები აქვს, აცხადებენ განათლებისა და მენეჯერების სამინისტროში: შესაძლებელია მოვლენის შესწავლა რეალურ ვითარებაში დაკვირვების გარეშე; მოვლენის სიმულაცია/გამეორება შეუზღუდავად; პარამეტრის ცვლილება ისეთ დიაპაზონში, რომელიც რეალურად დაუშვებელია ან საერთოდ შეუძლებელი; თუ რეალური მოვლენის დროს მონაცემების მიღება სპეციალურ საშუალებებს მოითხოვს და საკმაოდ შრომატევადია, ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენების დროს იგივე პროცესი საკმაოდ მარტივია. ვირტუალური ლაბორატორიების ეფექტური გამოყენება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ განათლების ხარისხის ამაღლებას, არამედ ფინანსური რესურსების დაზოგვას.

სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, პროექტის მენეჯერი (გაეროს განვითარების პროგრამა) **რევაზ საყვარელიძე** ხაზს უსვამს ამ მოდელის ხელმისაწვდომობას: *„გაეროს განვითარების პროექტი „უნარები დასაქმებისათვის – მეორე ფაზა“, გულისხმობს საკმაოდ ბევრ მიმართულებას, რომელთა შორის ერთ-ერთია ინოვაციების დანერგვა პროფესიულ განათლებაში. ამ მიმართულებითაც სხვადასხვა საკითხებზე ვმუშაობთ, მათგან ორს გამოვყოფ – ხარისხის მენეჯმენტის დანერგვა პროფესიულ კოლეჯებში და ელექტრონული სასწავლო მასალების – პროექტების გაკეთება. როგორც გითხარით, პროექტში, გარდა ამისა, სხვა აქტივობებიცაა, მაგრამ ინოვაციების კუთხით ეს ორი მიმართულებაა ძირითადი. გაეროს განვითარების პროგრამას პროგრამული კომპიუტერული უზრუნველყოფის პროფესიულ განათლებაში დანერგვის უშუალო გამოცდილება აქვს ფოთის კოლეჯსა და ზუგდიდის უნივერსიტეტში, სადაც ოთხ პროფესიაში უცხოური ე.წ. სოფტები – კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტები – დაინერგა. ეს პროფესიებია: სამკერვალო საქმე, სასტუმრო საქმის მენეჯმენტი, სარესტორნო საქმისა და სადურგლო საქმის მენეჯმენტი. გეტყვით, რომ თანამედროვე კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტების დანერგვამ, მართლაც, ძალიან კარგი შედეგები მოგვცა. მაგრამ, ზოგადად, ძალიან ძვირადღირებულია და, ამავდროულად, ნაკლებად ხელმისაწვდომი. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ქართული პროდუქტი, რომელიც მორგებული იქნება იმ ახალ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც საქართველოში ინერგება. ეს პროექტის ერთი დადებითი მხარეა. მეორე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – პროგრამა ფართოდაა შემუშავებული, შედარებით იაფი და ხელმისაწვდომია მათთვის, ვისაც ის სჭირდება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც, მაგალითად, სამკერვალო საქმის ან სარესტორნო საქმის პროგრამა, რომელიც დაინერგა, იმ კონკრეტული სასწავლებლის გარდა, არ არის ხელმისაწვდომი სხვისთვის. ვინც ისურვებს მის გამოყენებას, აუცილებლად უნდა შეიძინოს. ასეთი ბლოკირებული სისტემა აქვს, ანუ მისი გადატანა სხვაგან შეუძლებელია. ქართული პროდუქტი კი, რომლის პრეზენტაციაც დღეს წარმოვადგინეთ, ძალიან მოქნილია – შესაძლებელია ცვლილებების შეტანა, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისადაა შექმნილი, იაფია და ხელმისაწვდომი. პროგრამების ავტორია ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი დავით სონღულაშვილი.“*

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გაკეთდა ვირტუალური ლაბორატორია, პირველ რიგში, დასახელებული პროგრამებისთვის, ბატონმა რევაზ საყვარელიძემ ასე განმარტა: *„ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოთხოვნადი პროფესიებია, აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ პროფესიების სწავლის პროცესში, სტუდენტებს უჭირდათ აღქმა იმისა, რაც მათთვის ვიზუალურად დაფარულია. ამიტომაც მოვახდინეთ, ერთი მხრივ, მისი ვიზუალიზაცია და, მეორე მხრივ, მოდელირება, ანუ პროგრამა აჩვენებს იმას, რაც რეალურად ხდება და რასაც სტუდენტი ვერ ხედავს. პროცესში ნებისმიერ დროს შეიძლება ინტერაქტიურობა, ჩართვა – რაიმეს შეცვლა, გადაკეთება და ა.შ. ეს არის ვირტუალური ტექნიკური ლაბორატორია, რომელშიც, რასაკვირველია, სიმულაციებიც შედის. სამომავლოდ დაგეგმილია კიდევ სამი მიმართულებით მუშაობა, რომელსაც, რა თქმა უნდა, გარდა იმ კონკრეტული პროფესიებისა, კიდევ მრავალმხრივი გამოყენება ექნება .“*

ინოვაციური მოდელის პროფესიულ სასწავლებლებში დანერგვის მიზნით, დაგეგმილია პედაგოგთა ტრენინგი, ნლის ბოლომდე კი ასეთი მასალა შეიქმნება კიდევ სამი პროფესიისთვის: ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი; მევენახე-მეღვინე; ტრაქტორისტ-მემანქანე (შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე ფერმერის, მემცენარის, მეხილის პროფესიებისთვის).

წიგნის თვრო

სიახლე!

გამოვიდა ქართულ ლიტერატურაში საატესტატო გამოცდისთვის მოსამზადებელი ტესტების მეოთხე ნაწილი XX საუკუნის მწერლობა



წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

სწავლა-სწავლების პროცესის მხარდასაჭერად

მეექვსე და მეცხრეკლასელთა ტესტირებაში მონაწილეობის მსურველი სკოლების რეგისტრაცია დაიწყო

რეგისტრაციის პროცესი 15 მაისს დასრულდება. ტესტირებაში სკოლების მონაწილეობა ნებაყოფლობითია. კონკრეტული სკოლის შედეგები ხელმისაწვდომია მხოლოდ მონაწილე სკოლისათვის.

ტესტირება კომპიუტერულად, **2-დან 9 ივნისამდე**, ჩატარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული – როგორც მეორე ენა, მათემატიკა, ინგლისური ენა. **მე-9 კლასის** მოსწავლეებისათვის კი დამატებით – გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და ხელოვნებაში.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სკოლებს, 2012 წლიდან, სთავაზობს პროექტს, რომლის მიზანიც დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა (მე-6 კლასი, მე-9 კლასი) მიღწევების შეფასება და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაა. მოსწავლეთა შეფასების საფუძველზე, სკოლებს მიეწოდებათ ინფორმაცია კონკრეტული მოსწავლისა და სკოლის მიღწევების შესახებ.

შეფასების შედეგები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ ის ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებების დასაგეგმად.

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრის
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
მარკეტინგის სამსახური

თბილისი, 0186 მინდელის ქ. N9;
ტელ.: +99532 2473333 www.naec.ge
საკონტაქტო პირი: თეიკო ანჯაფარიძე
ტელ.: 577 500 935

ინფორმაცია

პროფესიულ პროგრამებზე შეხვედრა-სემინარი გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) ერთობლივი შეხვედრა-სემინარი გაიმართა.

კახაბერ ეგაძე, პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი: *დღევანდელი შეხვედრა, რომელიც ტარდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ერთად, მიზნად ისახავს სემინარის ჩატარებას ისეთ განსაკუთრებული ინტერესის სფეროში, როგორიცაა ქიმიური და სასურსათო უვნებლობის ლაბორატორიები.*

ასოცირების შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს, რომ ამ მიმართულებით ბევრად აიწიოს ხარისხი როგორც ორგანიზაცია-დაწესებულებებისა, ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადების საქმეში. გერმანელი ექსპერტები გაგვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. სამი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები საქართველოდან, ასევე, მზად არიან გააკეთონ პრეზენტაცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ამ კუთხით არსებული რეალობის შესახებ, რის შემდეგაც ველოდებით, რომ ქართული და გერმანული მხარეები შევჯერდებით იმ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა განვითარდეს და რომლებიც მოემსახურებიან სწორედ სასურსათო და ქიმიური ლაბორატორიების მუშაობის პროცესს.

მორის აკერმანი, გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი: *ჩვენი ინსტიტუტი წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ვახორციელებთ საკვები პროდუქტების ლაბორატორიების ჩამოყალიბებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტები ადგილზე და დამკვიდრდეს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები.*

თომას კნეპერი, გერმანიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის წარმომადგენელი: *გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის მოწვევით ჩამოვედი თბილისში, რათა გავაკეთო მოხსენება სხვადასხვა სტანდარტებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ეს ეხება საკვებ პროდუქტებს, ასევე, ზოგადად პროფესიულ განათლებაში სხვადასხვა მიმართულებით არსებულ სტანდარტებს. ის პრაქტიკა და გამოცდილება, რომელიც არსებობს გერმანიასა და სხვადასხვა ქვეყნებში, საქართველოშიც უნდა დაინერგოს.*

ალან სვიდლერის საჯარო ლექცია

ამერიკის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ენერგეტიკის კვლევებისა და გარემოს დაცვის ცენტრის დირექტორმა, მეცნიერებათა დოქტორმა **ალან სვიდლერმა** საჯარო ლექცია გამართა თემაზე „ენერგეტიკა, კლიმატის ცვლილება და უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში“. ლექცია გახსნა და აუდიტორიას მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი **მაგდა მაღრაძე**, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი საქართველოში **კენ უოლში**, ქართული უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

პროფესორი სვიდლერი ლიდერია ენერგეტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბების სფეროში და 30-ზე მეტი წლის განმავლობაში იკვლევს ენერგეტიკის საკითხებს. ის არის სან დიეგოს ენერგეტიკის რეგიონული ოფისის დამფუძნებელთა საბჭოს წევრი და დირექტორი. მუშაობდა აშშ-ს სენატში ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე. უკანასკნელ წლებში მუშაობს გარემოს გავლენებზე ენერგიის მოხმარებაზე, კლიმატის ცვლილებაზე, საერთაშორისო უსაფრთხოებასა და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების გავრცელებაზე.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე (ABET, ACS, WASC) საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში. კურსდამთავრებულები მიიღებენ ამერიკულ დიპლომს. აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს საქართველოში საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას. პროექტი ხორციელდება აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის ფინანსური მხარდაჭერით.

თამარ სანიკიძე: *2015-16 აკადემიური წლიდან სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი იწყებს ჩვენს ქართულ უნივერსიტეტებთან მუშაობას და სტუდენტებს სთავაზობს იმ ტექნიკურ და საინჟინრო მიმართულებებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებს, რის ფარგლებშიც, პირველად საქართველოში, გაიცემა ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომები. ეს ნამდვილად უპრეცედენტო მოვლენაა. პროექტი მილენიუმის კორპორაციის მეორე კომპაქტითაა გათვალისწინებული, სახელმწიფო თანამონაწილეა და დებს რესურსებს, რაც აისახება ზოგადად კურსის განხორციელებაში და სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადში თანამონაწილეობაში. პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია.*

გარდა ამისა, ტარდება სემინარები და სერიული საჯარო ლექციები სხვადასხვა თემებზე და მიმართულებებზე. დღევანდელი ლექცია ეხება ენერგოუსაფრთხოებასა და კლიმატურ ცვლილებებს, როგორც 21-ე საუკუნის გამოწვევას. ლექციები, რომლებსაც სან დიეგოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ჩაატარებენ, ძალიან საინტერესო იქნება. ამით ჩვენ ვაგრძელებთ მეცნიერების პოპულარიზაციას და ხელშეწყობას, რაც, ვფიქრობ, დადებითად აისახება ჩვენს საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე და სტუდენტებისთვისაც სასარგებლო იქნება.

ალან სვიდლერი: *დღეს მე ენერგეტიკაზე ვისაუბრე, კლიმატის ცვლილებასა და ენერგოუსაფრთხოებაზე, თუ როგორ არის ეს სამი კომპონენტი ერთმანეთთან დაკავშირებული. საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ვისაუბრეთ როგორც მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაზე, ასევე კლიმატის დათბობაზე, აგრეთვე, ენერგეტიკის სფეროში არსებულ ვითარებაზე.*

ირაკლი ხვედელიძე

ქართული ენა

რას ნიშნავს საინფორმაციო ტექსტი /ლინგვისტური ანალიზი/?

1.1 საინფორმაციო ტექსტები როგორც გარესაგნობრივი კომუნიკაციის ნაწილი

ადამიანი ყოველდღიურად უამრავ საინფორმაციო ტექსტს ეცნობა – რეცეპტი, სამომხმარებლო ტექნიკის ინსტრუქცია, განცხადება და ა.შ. ნებისმიერი ასაკის წარმომადგენელს ამ ტიპის ტექსტების კითხვისას ერთგვაროვანი მოლოდინი აქვს – სურს, პრაქტიკული ღირებულების მქონე ინფორმაცია მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ტექსტის დანიშნულება ყველასთვის ნათელია, რთულია მისი მახასიათებლების გამოყოფა და ჟანრობრივი დიფერენცირება.

ლინგვისტიკის ჭრილში ეს გარემოება გასაგებია. საინფორმაციო ტექსტები ყოველდღიური კომუნიკაციის ნაწილია, ამიტომ ადამიანებს არ უჭირთ მათი შექმნა და გააზრება, ამას ისინი ინტუიციურად, მექანიკურად აკეთებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინტუიციის საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ კარგად ნაცნობი, მარტივი ტექსტების გააზრება. რთული ვარიანტების ჟანრობრივი იდენტიფიკაციაც კი ჭირს, რომ არაფერი ვთქვათ მათი შინაარსის გაგებაზე.

ლინგვისტიკაში კომუნიკაციის სხვადასხვა დონე გამოიყოფა: ერთი სფეროს წარმომადგენლებს, მაგალითად, ბიოლოგებს ერთმანეთთან, საგნობრივ კონფერენციაზე, შიდასაგნობრივი კომუნიკაცია აქვთ. ბიოლოგი და ფიზიკოსი ამა თუ იმ საკითხს ინტერდისციპლინარული კუთხით, ინტერსაგნობრივი კომუნიკაციის ფარგლებში განიხილავენ; მოზარდსა თუ ნებისმიერ არაპროფესიონალთან ამავე საკითხების შესახებ მსჯელობა კი გარესაგნობრივ კომუნიკაციას წარმოადგენს.

საინფორმაციო ტექსტები, რომლებიც *სასკოლო განათლების ფარგლებში* მოსწავლეებს საანალიზოდ შეგვიძლია შევთავაზოთ, არაპროფესიონალთათვისაა განკუთვნილი. საინფორმაციო ტექსტი მკითხველისათვის საგნობრივი ინფორმაციის პოპულარულ ენაზე მიწოდებას გულისხმობს.

საკომუნიკაციო ფუნქციის მიხედვით საინფორმაციო ტექსტები შეძლება ხუთ ჯგუფად დაიყოს:

- საკუთრივ საინფორმაციო;
- სარეკომენდაციო;
- ვალდებულების განმსაზღვრელი;
- დამადასტურებელი;
- საკონტაქტო.

„საინფორმაციო“ ტექსტები იქმნება მკითხველის ინფორმირების მიზნით. ამ ტიპის ტექსტების საიდენტიფიკაციო ზმნებია: *ინფორმირება, უწყება, მოყოლა.* „სარეკომენდაციო“ გულისხმობს მკითხველისათვის კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ორიენტირების დასახვას, მითითებების, ინსტრუქციის მიცემას. ამ მიზნის არსებობას შეიძლება შემდეგი ზმნები მიანიშნებდეს: რჩევა, თხოვნა, მოწოდება. სავალდებულო შინაარსია ხაზგასმული, როცა არა რეკომენდაცია, არამედ უპირობო მითითებაა მოცემული. ტექსტები, რომლებიც ახალი რეალობის შექმნაზე მიანიშნებს, „დამადასტურებელი“ ხასიათისაა. ხშირად, საზოგადოებრივი შეკრების ადგილას, გამომსვლელი მიმართვისას „საკონტაქტო“ შინაარსის ტექსტს იყენებს.

1.2. საინფორმაციო ტექსტების ანალიზი

გაკვეთილზე საინფორმაციო ტექსტის ანალიზი შეიძლება შემდეგი ექვსი ასპექტის განსაზღვრას გულისხმობდეს:

ა) ტექსტის ფუნქცია

საინფორმაციო, სარეკომენდაციო, ვალდებულების განმსაზღვრელი, დამადასტურებელი

ბ) კონტექსტი

როგორია საკომუნიკაციო ფუნქცია: კერძო, საჯარო თუ ოფიციალური/ინსტიტუციური ხასიათის

გ) ადრესატი

განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი (ასაკის, სქესის ან სხვა ნიშნების მიხედვით)

დ) მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი და მოცულობა

- რამდენად აქტუალური, ღირებული ან რელევანტურია
- მონოთემატურია თუ პოლითემატური
- მხოლოდ ფაქტებია აღწერილი თუ შედეგები

ე) საგნობრივი ინფორმაციის გაშლა

- აღწერითი, განმარტებითი, მსჯელობითი თუ თხრობითი
- სრულყოფილია თუ მოკლედაა გადმოცემული
- მხოლოდ აღწერს ფაქტებს თუ შეფასებებიცაა მოცემული
- მონორეფერენციული თუ პოლირეფერენციული

ვ) ენობრივი და არაენობრივი საშუალებები

- ენა: ტექსტი/ჰიპერტექსტი; სიებისა და ცხრილების გამოყენება
- ილუსტრაციები: რეალური სურათები (ფოტოები და ნახატები) ან ლოგიკური მიმართების ამსახველი სურათები (დიაგრამები, ცხრილები)
- ენობრივი საშუალებები (ლექსიკის შერჩევა, სინტაქსური კონსტრუქციები)

კონკრეტული მაგალითის საფუძველზე შევეცდებით წარმოვაჩინოთ, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ეს საანალიზო კატეგორიები სკოლაში საინფორმაციო ტექსტებზე სამუშაოდ.

ფოკუსი/ფინანსური რჩევები

დადებითი მხარე	უარყოფითი
საკუთრების შეგრძნება – დადებითი ფსიქოლოგიური ფაქტორი	მოქნილობის ხარისხი დაბალია. მაგალითად, სამსახური შეიცვალეთ და ტერიტორიულად მოუხერხებელია მგზავრობა, გაიზარდა ტრანსპორტის ხარჯიც; ან, იცით, რომ მომავალში ოჯახის წევრების რაოდენობა გაიზრდება და გჭირდებათ შედარებით დიდი ბინა. არსებული ბინის გაყიდვა და ახლის მოძიება ბევრ თავსატეხთან არის დაკავშირებული.
თავისუფალი ხართ ბინის რემონტის, რესტავრაციის, მოწყობის საკითხებში.	თქვენ მოგიწევთ გადაიხადოთ ბინის ფლობასთან დაკავშირებული ხარჯები.
შეძლებთ გააქირაოთ და შემოსავალიც მიიღოთ.	იმ ფასად გაქირავების რისკი, რომელიც თქვენ გსურთ, შესაძლოა აღემატებოდეს გაქირავების საბაზრო ფასს; ანუ, მოგიწიოთ იმაზე ნაკლებად გაქირავება, ვიდრე თქვენი სურვილია. ამიტომაც, შესაძლოა დაგენანოთ და საერთოდაც არ გააქირაოთ იგი. ასევე, ბინის გაქირავებისას ბინა ზიანდება, და მისი შეკეთება ასევე თქვენი, როგორც ბინის მფლობელის ხარჯია.
შეძლებთ ბინის გაყიდვას	თუ სასწრაფოდ გჭირდებათ ფული და ამისთვის ბინას ყიდით, შესაძლოა თქვენთვის სასურველ ფასად ვერც გაყიდოთ და იძულებული გახდეთ, მისთვის რეალურზე დაბალი ფასი დააწესოთ.

ბინის ყიდვა

ზემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია ბინის შეძენის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ბინის ყიდვა იგივე ინვესტიციაა უძრავ ქონებაში. თუმცა, ქონების შეძენა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ინვესტიცია გამართლებულია. რას ვგულისხმობ?

1. თუ ბინას ვყიდულობთ საკუთარი სახსრებით შემდგომში გაქირავების მიზნით, რათა დამატებითი შემოსავალი მივიღოთ, ფინანსურად ორი რამ უნდა შევადაროთ ერთმანეთს: მომავალში გაქირავებით მიღებული შემოსავალი და ალტერნატიული შემოსავალი [...]

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ გაქირავებისას ბინის მესაკუთრეებს მაღალი ალბათობით გვექნება ბინის ფლობასთან (შენახვა, განახლება, რესტავრაცია, ქონების გადასახადი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები, ხოლო ყოველთვიური ქირიდან მიღებული შემოსავალი გაქირავების საშუალო ფასზე ნაკლები იქნება [...].

შეძენილი ბინის რეალური გაქირავების ფასი მისი მთლიანი ღირებულების ერთი პროცენტი მაინც უნდა იყოს.

2. თუ **ვფიქრობთ ბინა შევიძინოთ იპოთეკური სესხით,** რადგან საკმარისი ფინანსური რესურსი არ გვაქვს, არის რიგი საკითხები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ:

ა) შევძლებთ იპოთეკური სესხის რეგულარულად და სრულად გადახდას წლების განმავლობაში? გასათვალისიწინებელია ჩვენი შემოსავლების სტაბილურობა, რადგან იპოთეკური სესხი გრძელვადიანი სესხია. მისი მაქსიმალური ვადა საქართველოში 15 წელია. ისიც ყურადსაღებია, რომ მართალია, სესხი რაც უფრო დიდ ვადაზეა გაწერილი, ყოველთვიურად შედარებით ნაკლების გადახდა მოგვიწევს, ვიდრე იმავე ოდენობის სესხი მცირე ვადით რომ აგვეღო, თუმცა, საბოლოო ჯამში, სესხი ძვირდება.

ბ) იპოთეკური სესხის აღებისას, გასათვალისწინებელია მისი უზრუნველყოფა. უზრუნველყოფა არის ჩვენს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწა, სავაჭრო თუ საოფისე ფართი, ან/და ის ბინა, რომლის შეძენასაც ვაპირებთ იპოთეკური სესხით), რომელიც ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს ბანკისთვის იმის თაობაზე, რომ სესხს გადავიხდით. სესხის ვერ, ან არ დაფარვის შემთხვევაში ბანკი ამ ქონების რეალიზაციის უფლებას იტოვებს [...].

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ინვესტორის ხრიკი – „1 პროცენტის წესი“, რომელიც უხეში, მაგრამ მარტივი დათვლით პასუხობს კითხვას: მიღირს თუ არა ბინის ან ფართის შეძენა? ამ წესის მიხედვით, ბინის რეალური გაქირავების ფასი მისი მთლიანი ღირებულების ერთი პროცენტი მაინც უნდა იყოს.

მოკლედ, „1 პროცენტის წესით“ დათვლილი გაქირავების მინიმალური საფასური ბაზარზე რეალურად უნდა იყოს შესაძლებელი. ამასთან, ქირის მინიმალური თანხა ტოლი ან მეტი უნა იყოს სესხზე ყოველთვიურად გადასახდელი თანხისა[...].

* * *

ა) **ტექსტის ფუნქცია.** საანალიზო ტექსტს, ძირითადად, საორიენტაციო/სარეკომენდაციო მიზანი აქვს. წერილის ავტორი ცდილობს, მკითხველს მნიშვნელოვანი რჩევები მისცეს ბინის ყიდვასთან დაკავშირებით, რათა მან მაქსიმალური ფინანსური სარგებლის მიღება შეძლოს. ტექსტი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთი მხრივ, დანომრილია, მეორე მხრივ, პირველი წინადადებები გამუქებულია, რაც გამოყოფილი ეპიზოდის მთავარ განსახილველ ასპექტზე მიანიშნებს.

ბ) **კონტექსტი.** წინამდებარე რჩევები მოცემულია ჟურნალში „თიბისი“, რომელიც ხელოვნებას, კულტურასა და ფინანსებს ეხება. ყოველი ნომრისთვის მთავარ თემად შერჩეულია საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტები მკითხველს რჩევებს სთავაზობენ. განსახილველი წერილი ამ რუბრიკიდანაა აღებული.

გ) **ადრესატი.** ტექსტის ადრესატი ზრდასრული ადამიანები არიან, რომლებიც ფულის უძრავ ქონებაში ინვესტირებას ან საკუთარი საჭიროებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენას აპირებენ. ადრესატთან დაკავშირებით, დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სტატიის ავტორი ცდილობს მის დაფასებას. მიუხედავად იმისა, რომ რჩევას აძლევს მკითხველს, ზემდგომი ადამიანის პოზიციიდან არ ელაპარაკება და თანასწორობას უსვამს ხაზს. საამისოდ რჩევის მიცემისას მესამე პირში კი არ წერს, არამედ სარეკომენდაციო ოპერაციის შემსრულებელს პირველი პირის მრავლობითი ფორმით მოიხსენებს: [...] თუ ბინას ვყიდულობთ [...] არ დავთვალოთ [...] შევძლებთ იპოთეკური სესხის დაფარვას [...] გარდა ამისა, ტექსტის ადრესატი საგნობრივი ექსპერტები არ არიან, ის პოპულარულ ენაზეა დაწერილი – არ გვხვდება ტერმინები და ხშირია ფამილარული, არააკადემიური ენობრივი შესიტყვებები.

დ) **მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი და მოცულობა.**

ქვეყანაში არსებული საინფორმაციო ბუმის გათვალისწინებით, მოწოდებული რჩევები საყურადღებოა. განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც სტატიით გათვალისწინებული ფინანსური ოპერაციები ჯერ არ განუხორციელებია. სტატია მკითხველს საშუალებას აძლევს დოვლათის შექმნისაკენ ადამიანის ბუნებრივი/ინსტინქტური სწრაფვა რაციონალურად მართვადი გახადოს. მოქალაქეებისათვის მსგავსი ფინანსური რჩევების მიწოდება გარანტიაა იმისა, რომ დაზოგილი ფული გაუაზრებელი ქმედებებით არ დაკარგონ, რაც ქვეყნის განვითარებისათვის, საშუალო ფენის შესაქმნელად მნიშვნელოვანია. საანალიზო ტექსტი პოლითემატურია – მასში განხილულია ბინის შეძენის ორი გზა: საკუთარი სახსრებითა და იპოთეკით.

ე) **საგნობრივი ინფორმაციის გაშლა.** ტექსტი ორ მონაკვეთადაა დაყოფილი, მათ შორის მიმართება ლოგიკური კი არაა, არამედ განსახილველი საკითხის ორ სხვადასხვა ასპექტს წარმოაჩენენ. ტექსტს უძღვის ცხრილი, რომელშიც მთავარი დებულების დამამტკიცებელი არგუმენტები და მაგალითებია შეტანილი. ის, რაც ტექსტში გაშლილია, აქ კომპაქტურადაა მოცემული, რაც შემოთავაზებულ ხედვას თვალსაჩინოს ხდის. ცხრილის ქვემოთ მოცემულია თვალსაზრისი, რომელიც არგუმენტირებული მსჯელობით დასაბუთებულია სტატიის ძირითად ნაწილში (საანალიზო საინფორმაციო ტექსტი მსჯელობითი ხასიათისაა). სტატიის ავტორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური საფუძვლების გარდა, რჩევებსაც იძლევა.

ვ) **ენობრივი და არაენობრივი საშუალებები.** იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტის ადრესატი ზრდასრული ადამიანები არიან, მსჯელობა, ძირითადად, რთული ქვეწყობილი წინადადებებით წარიმართება. განსახილველი საკითხის ამბივალენტური ხასიათიდან გამომდინარე (ბინის ყიდვას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარები), სტატიის ავტორი ხშირად იყენებს მაპირისპირებელ კავშირებს. ლექსიკაზე დაკვირვებისას თითქმის არ გვხვდება ტერმინები. ერთადერთ შემთხვევაში წერილის ავტორმა გამოიყენა სიტყვა *უზრუნველყოფა* და იქვე დეტალურად განმარტა. ეს იმის მანიშნებელია, რომ სტატია საგნობრივი ექსპერტებისათვის არაა დაწერილი, ის ფართო მკითხველზეა ორიენტირებული. ტექსტისათვის დამახასიათებელია ფამილარული, არააკადემიური სტილიც: ახლა დავთვალოთ [...] გამოდის, რომ [...] ეს ხომ ადვილია [...] მოკლედ, [...] ამგვარი ფამილარული, სტილი (ამას ემატება განსახილველი საკითხის შესახებ პირველი პირის მრავლობითი ფორმით წერა). მკითხველთან სიახლოვის ხაზგასმას შეიძლება სარეკლამო მიზანიც ჰქონდეს – მეტი ნდობა ჩამოუყალიბოს მკითხველს იმ ბანკისადმი, რომლის საკუთრებაცაა საანალიზო სტატიის შემცველი ჟურნალი.

სკოლაში ამ ტიპის ანალიზი იმის გარანტიაა, რომ მოსწავლე ისწავლის ინფორმაციის გააზრებას. ანალიზის კრიტერიუმთა განსაზღვრა მას დაეხმარება, ინფორმაციის ერთიანი ნაკადი გაფილტროს, დაანაწევროს და შეაფასოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ტექსტებზე ამ სახით მუშაობა მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის რეცენზირებისთვისაც მოამზადებს.

პედაგოგთა დასახმარებლად

მაკა ნადარეიშვილი

ფრანგული ენა

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში

როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგაკვეთილო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. ამ თემასთან დაკავშირებით არა ერთი სტატია დაწერილა და გამოქვეყნებულა საგანმანათლებლო სივრცეში. დღეს ჩვენ შევეცდებით ტექნოლოგიების გამოყენებით დავგეგმოთ ერთი აქტივობა.

პირველ რიგში, მინდა გაგაცნოთ ფრანგულის მასწავლებლებისთვის დამხმარე პორტალი ინტერნეტგვერდი: http://www.bonjourdefrance.com/

სანამ მის უშუალო განხილვას დავიწყებდე, მინდა ორიოდე სიტყვით გაგაცნოთ ამ იდეის ავტორები და ხორცის შემსხმელები. მინდა გითხრათ ისიც, რომ პოტენციურად თითოეულ მასწავლებელს შეუძლია მონაწილეობა ამ საიტის შევსებაში.

საფრანგეთში, ქალაქ ნიცაში არსებობს ენების სკოლა „აზურ ლინგუა“ http://www.azurlingua.com/,

რომელიც წელიწადში ორჯერ მასწავლებლებს სთავაზობს ინტერნეტკონკურსს, გამარჯვებულ მასწავლებელს კი – უფასო პედაგოგიურ სტაჟირებას ნიცაში. გარდა ამისა, მოსწავლეებს სთავაზობს ენის კურსებს საინტერესო სანახაობებით. სწორედ ამ სკოლის დამფუძნებლებს ეკუთვნით საიტის შექმნის იდეა, ხოლო მოხალისე მასწავლებლები ავსებენ მას სხვადასხვა აქტივობებით.

რაც შეეხება საიტს, აქ მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა, მოიძიოს მისთვის სასურველი სასწავლო მასალა, სხვადასხვა სავარჯიშოები უცხო ენის სწავლების ოთხივე მიმართულებით. საიტი, ვიზუალური თვალსაზრისით, ასე გამოიყურება: http://www.bonjourdefrance.com/



მოცემული „უჯრა“ საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეარჩიოს სასურველი კატეგორია ან თემა. საკმარისია მხოლოდ თითოეულ თემასთან მისვლა და „დაწკაპუნება“.

სასურველი თემატიკის არჩევის შემდეგ საშუალება გექნებათ შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი უცხო ენის ფლობის შესაბამისი დონე. მაგალითად, ავირჩიოთ პირველი კატეგორია – Grammaire Française.

ღილაკის შერჩევისა და „დაწკაპუნების“ შემდეგ გამოგვიტანა წინამდებარე ფანჯარა, სადაც თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ შესაბამისი ენობრივი დონე და შეუდგეთ სავარჯიშოს შესრულებას. მაგალითისთვის ავირჩიოთ A1.

შესაბამისად, შემდეგ გვექნება სავარჯიშოები თემებისა და ლიგვისტური კატეგორიების მიხედვით:

აქ უკვე მასწავლებელს, მიზნის მიხედვით, შეუძლია შეარჩიოს დავალება და ინდივიდუალურად შეასრულებინოს მოსწავლეებს. სავარჯიშოების შესრულების პროცესს აიოლებს ის, რომ თითოეული სავარჯიშო ავტომატურად მოწმდება დასრულებისთანავე.

მაგალითისთვის ავირჩიოთ პირველი სავარჯიშო „Les nombres cardinaux“ და „დაწკაპუნებით“ გავხსნათ ის. გახსნისას აღმოვაჩენთ შემდეგ ფანჯარას:



ვნახავთ, რომ თავდაპირველად მოცემულია თეორიული ნაწილი და მიმდინარეობა, შესაბამისი კითხვები, რიცხვები და მათი მართლწერა.

ფანჯრის ჩამოწევის შემთხვევაში, ვიხილავთ შესაბამის სავარჯიშოებს.



სავარჯიშოს დასრულების შემდეგ, „დავაწკაპუნებთ“ ღილაკზე „valider l'exercice“ და შევამოწმებთ მას.

ასევე გრძელდება მთელი რიგი სავარჯიშოებისა იმავე თემაზე. მაგალითად, მეორე დავალება:



რომელსაც ბოლოში, რა თქმა უნდა, შესწორების ღილაკი მოჰყვება.

ამ შემთხვევაში, ჩვენ განვიხილეთ ერთ-ერთი პედაგოგიური პორტალი და მასზე არსებული ერთ-ერთი სავარჯიშო. აღვნიშნეთ, რომ ეს პორტალი უშუალოდ ფრანგულის ენის მასწავლებლებსა და მის შემსწავლელებს ეკუთვნით. შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ, თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს ერთი გაკვეთილი ინტერნეტის სხვადასხვა გვერდების გამოყენებით.

ინფორმაცია

სტუმარი აიესაიში

ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა (ISIE) ყოველკვირეულად მართავს საჯარო ლექციებს სტუდენტებისთვის საინტერესო თემებით. პროექტის „სტუმარი აიესაიში“ ფარგლებში, 23 აპრილს, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, აიესაიმ უმასპინძლა **დეკანოზ მამა თეოდორე გიგნაძეს** თემით – „ქრისტიანთა მასობრივი დევნა 21-ე საუკუნეში“.

მიმდინარე მწვავე მოვლენებიდან გამომდინარე, დეკანოზი გამოეხმაურა სირიაში მომხდარ მოვლენებსა და მსოფლიოს მასშტაბით ქრისტიანთა დევნას. მან განიხილა და ისაუბრა რელიგიური შუღლის, მათ შორის სირიაში ქრისტიანების შესამცირებლად მიმართული ძალების, ლიკვიდაციის ფაქტების, ტერორისტული აქტებისა და სხვათა შესახებ.

დედამიწის დღე

22 აპრილს, აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლაში, განხორციელდა პროექტი „დედამიწა ჩვენი სახლია“ (ხელმძღვანელი – ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი **ირმა ჭანტურია**), რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში ბუნებისადმი სიყვარულის, გარემოში სწორად მოქცევის, ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება. კვირეულის ფარგლებში, მოეწყო ნახატების კონკურსი „დედამიწა ჩემი სახლია“ (ხელმძღვანელი – ხელოვნების მასწავლებელი **სოფიო ჯიბლაძე**), ფოტოგამოფენა „ჩემი თვალით დანახული დედამიწა“, დასუფთავდა სკოლის შემოგარენი, დაირგა ნარგავები: ჩატარდა თეატრალიზებული ღონისძიება „დედამიწის დღე“, რომელშიც მონაწილეობდნენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები (I-VI კლასი). წარმოდგენის დეკორაციაზე იმუშავეს მე-9 კლასის მოსწავლეებმა, ხოლო მუსიკალურ გაფორმებაზე იზრუნა მუსიკის მასწავლებელმა **გულისა კიზირიამ**. პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები კლასის დამრიგებლები – **ლიანა ჯიბლაძე, ზაირა რევაზიშვილი, ქეთევან ვეკუა, ელიკო შუბლაძე, ლოლა ქურასბედიანი, იზაბელა გაბუნია**.

პროექტი შთამბეჭდავი იყო იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებმა კოსტუმირებულად წარმოადგინეს დედამიწის უსულო არსებები, სული შთაბერეს და აამეტყველეს ისინი. ნახატებში კი ასახეს თავიანთი დამოკიდებულება ბუნებისადმი. ფოტომოყვარულებმა გადაიღეს და წარმოადგინეს საოცარი პეიზაჟები.

მაღალ დონეზე განხორციელებულმა პროექტმა მოსწავლეებს დაანახა, რომ დედამიწას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

ზაირა რევაზიშვილი
მასწავლებელი, სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა

კონფერენცია

სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის

ანა ფირცხალაიშვილი

25 აპრილს, თბილისის №131 საჯარო სკოლაში, გაიმართა კონფერენცია თემაზე – „თანამედროვე მიდგომების გამოყენება; ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის“. კონფერენცია გახსნა სკოლის დირექტორმა ***ხათუნა ენუქიძემ****. პირველი მომხსენებელი კი დირექტორის მოადგილე* ***მეგი როსტიაშვილი-წიკლაური*** *იყო, რომელმაც წარმატებული სკოლის მახასიათებლების შესახებ ისაუბრა.*

კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მასში ქალაქის №№106, 49, 139, 94, 28, 216, ნორიოს საჯარო სკოლებისა და კერძო სკოლების – „ფესვები“, „ივერია“, „ინტელექტი XXI“ პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები, აგრეთვე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, განათლების აკრედიტაციის ცენტრის ექსპერტი, მასწავლებელთა სახლის ინკლუზიური სწავლების კორდინატორი და პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე სულ 15 მოხსენება წაიკითხეს ამავე სკოლის სხვადასხვა საგნის პედაგოგებმა, გამონაკლისი მხოლოდ 49-ე სკოლა იყო, რომლის დირექტორმა, ***ეკა ცაავამ*** *„უსაფრთხო სკოლის“ შესახებ ისაუბრა. ამჯერად ორ თემას შემოგთავაზებთ. ვფიქრობ, პრობლემატურობითა და აქტუალობის თვალსაზრისით, ორივე განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.*

წიგნიერების კვლევა

ნინო ბარნაბიშვილი, *131-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი*

ველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში იძენენ, კითხვის უნარია. მოსწავლე ჯერ სწავლობს კითხვას და მერე კითხულობს. იმისათვის, რომ ისწავლოს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებასა და წიგნიერების ხელშეწყობას. სხვა მრავალი უნარისაგან განსხვავებით, კითხვის უნარი თავისით კი არ ვითარდება, არამედ მიზანმიმართული სწავლის შედეგად ყალიბდება. კითხვის პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია ბავშვებისათვის. კითხვის დროულად სწავლება და კითხვაში გაწაფვა არა მხოლოდ პიროვნების, არამედ საზოგადოების კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ქართული საგანმანათლებლო სფეროს გამოწვევად კვლავ რჩება წიგნიერების დონის ამაღლების საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შორის. არადამაკმაყოფილებელი სტატისტიკის განმსაზღვრელ მიზეზებად ექსპერტები სხვადასხვა პრობლემებს ასახელებენ. 131-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგებმა გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა თემაზე – „წიგნიერება“. კვლევის მოტივი იყო დირექტორის მოადგილის, მეგი როსტიაშვილის მიერ ჩატარებული ტრენინგი თემაზე „საგნობრივი სტანდარტის განხილვა, მასზე დაყრდნობით გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასების კრიტერიუმების შედგენა, შემუშავება“. ტრენინგს ესწრებოდა როგორც დაწყებითი, ასევე ქართულის კათედრის ყველა წევრი. ტრენინგის მსვლელობისას გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები ქართული ენის სწავლებაში, რაც გამოვლინდა პედაგოგების დაკვირვების შედეგად, კერძოდ, დაწყებითი კლასებიდან მომდევნო საფეხურზე გადასულ მოსწავლეებს უჭირთ კითხვა.

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა წიგნიერების პროცენტული მაჩვენებელი, მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

შევადგინეთ კვლევის გეგმა, სადაც დეტალურად გავწერეთ მომდევნო ნაბიჯები. ეს იყო კითხვარი მშობლებისთვის, ბავშვებისთვის, ტესტები, ტრენინგი, ანალიზი. კათედრის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები. საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო კითხვარების და ტესტების შედგენის პროცესი. დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით თითოეული კითხვის ჩამოყალიბებას და ფორმირებას. გვსურდა ყველა მოსწავლეს შეძლებოდა ტესტზე დამოუკიდებლად მუშაობა. ვიხსენებდით მათ უნარებს და შესაძლებლობებს. ვფიქრობ, ვიყავით ობიექტურები და სამართლიანები.

კითხვარები მოიცავდა როგორც მხატვრულ, ასევე საინფორმაციო ხასიათის მასალას. პრინციპი იყო შემდეგნაირი: ტესტი დაიყო 4 ნაწილად:

1. გადახედვითი კითხვა. მოიცავდა 5 საკითხს. მათი კითხვები იყო: რა? სად? როდის? სულ 5 ქულა. დრო – 6 წუთი.

2. ძიებითი-დეტალური. არჩევითპასუხიანი კითხვები – „კი“ ან „არა“. 8 საკითხი. 8 ქულა. დრო – 8 წუთი.

3. გლობალური კითხვა. ტექსტზე ორიენტირებული კითხვები. 6 საკითხი. 10 ქულა. დრო – 20 წუთი.

4. შესწავლითი კითხვა. ტექსტის ანალიზი. გრამატიკული ნაწილი. 3 საკითხი. 8 ქულა. დრო – 25 წუთი.

ტესტი იყო რელევანტური. შერჩეული იყო ამ ასაკისთვის შესაფერისი, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით რეკომენდებული თემატიკა და განსაზღვრული იყო წასაკითხი ტექსტის დასაშვები მოცულობა.

მოგეხსენებათ, დაწყებით კლასებში არ ხდება ქულებით შეფასება, ამიტომ შევიმუშავეთ შეფასების სქემა, რაც დაგროვილი ქულების განსაზღვრაში დაგვეხმარებოდა. 9-10 ქულა – მაღალი შეფასება, 7-8 ქულა – საშუალო, 4-5-6 ქულა – დაბალი.

როგორც მოგახსენეთ, შევადგინეთ კითხვარი მშობლებისათვის. რა თქმა უნდა, ამით ვერ დავადგენდით მათ სიღრმისეულ ცოდნას, თუმცა ზედაპირულად გავეცნობოდით მათ დამოკიდებულებებს. სახლი ის გარემოა, სადაც ბავშვი პირველად ეხება წერა-კითხვას. მას პირდაპირ თუ ირიბად გადაეცემა იმ გარემოში არსებული დამოკიდებულებები და ფასეულობები, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ რის სწავლას მიიჩნევს ბავშვი საჭიროდ. ოჯახური გარემო გაცილებით მეტ კავშირშია ბავშვის აკადემიურ მიღწევებთან სკოლაში, რადგან დედა პირველი მასწავლებელია ბავშვისთვის. ამიტომ გადავწყვიტეთ კვლევა მშობლებიდან დაგვეწყო. შედეგი იყო სავალალო. ერთმანეთისგან იწერდნენ პასუხებს, უჭირდათ საკუთარი აზრის დაფიქსირება, ვერ ერკვეოდნენ ტერმინოლოგიაში. გამოიკვეთა სამი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი:

1. ოჯახის სოციალური მდგომარეობა – როდესაც მშობლები (დედა) მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად თავის თავზე იღებს ოჯახის მარჩენლის ფუნქციას. შესაბამისად, სამუშაოს გრაფიკიდან გამომდინარე, ვერ იქნება მაგალითის მიმცემი შვილებისათვის.

2. არშემდგარი ოჯახის შვილები – როდესაც დედა პირადი ცხოვრების მოწესრიგებას ცდილობს. ამ შემთხვევაში, ვერ ახერხებს შვილების წიგნიერების დონის ამაღლებაზე ზრუნვას.

3. ნაადრევად შექმნილი ოჯახები – როდესაც დედა თავად ვერ ახერხებს შესაბამისი სწავლა-განათლების მიღებას, რაც განაპირობებს მისი წიგნიერების დაბალ დონეს. მისთვის არ არის პრიორიტეტული განათლება, რაც აისახება ბავშვის განვითარებასა და მისწრაფებებზე.

მოსწავლეებში ტესტირება მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. სამიზნე ჯგუფი იყო II-IV კლასი, სულ 180 მოსწავლე. შედეგები არასახარბიელო იყო. მაღალი შეფასება მიიღო 46%-მა, საშუალო შეფასება – 34%-მა, დაბალი შეფასება – 20%-მა. შედეგების განხილვისა და ანალიზის შემდეგ აუცილებელი იყო სათანადო ნაბიჯების გადადგმა. საკითხის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება გვმართებდა, რათა აგვემაღლებინა მოსწავლეთა მოტივაცია. ბავშვები მეტად დაინტერესდებოდნენ თამაშის ფორმით მიცემული დავალებებით და სახალისო აქტივობებით. შევიმუშავეთ რეკომენდაციები როგორც მშობლებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის.

კვლევის დასრულების შემდეგ შევხვდით მშობლებს. მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მათ თავიანთი შვილების განათლებაში. გააცნონ ის აქტივობები, რომელიც შეიძლება თავად განახორციელონ სახლში შვილებთან ერთად. მაგალითად: ბავშვს დაევალოს ჩაატაროს ოჯახური გამოკითხვა საყვარელ საკვებზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, ან შექმნან ოჯახის გენეალოგიური ხე. მშობელი აქტიურად უნდა დაეხმაროს დავალების შესრულებაში. ერთად წაიკითხონ ბავშვისთვის საყვარელი ზღაპარი, განიხილონ შინაარსი, ისაუბრონ დადებით და უარყოფით პერსონაჟებზე. ხშირად მოაწყონ ოჯახური ექსკურსიები მედიათეკასა და წიგნის მაღაზიებში. მასწავლებელმა გაცილებით კარგ შედეგს შეიძლება მიაღწიოს მაშინ, როდესაც საკლასო ოთახში გადაცემული იდეები და ცოდნა გარკვეული ფორმით სახლშიც განმტკიცდება მშობლის მიერ.

კითხვის უნარის განვითარების ხუთი სტადია არსებობს. აუცილებელია მასწავლებელი ფლობდეს ინფორმაციას რისი გაკეთებაა საჭირო თითოეულ სტადიაზე, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კითხვის ტექნიკის განვითარებას.

1. კითხვის წინა პერიოდი

ამ ეტაპზე მასწავლებლის პასუხისმგებლობაა წაახალისოს მოსწავლეები, შეუქმნას საყურადღებო და სახალისო აქტივობები. სწავლება ფოკუსირებულია ზეპირი გამოხატვის ფორმებზე, ესენია: ზღაპრის მოყოლა, ხატვა, ნახატის დასათაურება და აღწერა.

2. კითხვის დაწყება

ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეიძინოს ანბანის ასოების ამოცნობის უნარი. აქტივობები: „სიტყვებზე ნადირობა“, მოდელირება, მოსმენა და კითხვა.

3. კითხვის დახვეწა

აქტივობები: ნიშნები, სიახლეები, კროსვორდები.

4. კითხვის უნარის განვითარება და კითხვის მიმართ ინტერესის გაღვივება

აქტივობები: „სიტყვების არქეოლოგია“, ზღაპრის თხრობა, წიგნების განხილვა.

5. კითხვის უნარის გაძლიერება და დახვეწა

აქტივობები: სამაგიდო თამაშის შექმნა, დისკუსიის გამართვა, საკუთარი ნაწერების წაკითხვა და განხილვა.

ამ რეკომენდაციებს გავწერთ და გავითვალისწინებთ მომდევნო სასწავლო წლის სამუშაო გეგმის შედგენისას.

მინდა მოგახსენოთ, რომ კვლევის პროცესში აქტიურად იყო ჩართული დაწყებითი კლასების ყველა პედაგოგი, ფსიქოლოგი, გვეხმარებოდნენ სპეცმასწავლებლები. კვლევას კოორდინირებას უწევდნენ სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ხათუნა ენუქიძე** და დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **მეგი როსტიაშვილი-წიკლაური**, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მათ თანადგომისა და ხელშეწყობითვის.

კვლევა ხანგრძლივი პროცესია და ჯერ არ დასრულებულა. მომდევნო ეტაპზე დავადგენთ, რამდენად დაგვეხმარა ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პრობლემის გამოსწორებაში. ამ ეტაპისთვის თვალსაჩინო გახდა, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ძალზე ეფექტურია.

კონფერენცია

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სოციოეკონომიკური გარემოს გავლენა მათ განვითარებაზე

მეგი ხუნაშვილი, სპეციპედაგოგი

ამ საკითხის შესახებ კვლევა ჩავატარეთ სსიპ ქალაქ თბილისის 131-ე საჯარო სკოლის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან ინკლუზიური განათლების კოორდინატორი – **გულნარა ხატიპოვა** და სპეციალური მასწავლებლები – **მეგი ხუნაშვილი** და **თამარ მაჭარაშვილი**.

ჩვენი სკოლა 2011 წლიდან ჩართულია ინკლუზიური სწავლების პროცესში. ამჟამად სკოლაში 41 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე სწავლობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი დიდი რაოდენობა (40-ზე მეტი), ჩვენი სკოლის გარდა, მხოლოდ ერთ საჯარო სკოლაშია. ამიტომ ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა ჩაგვეტარებინა კვლევა, თუ როგორია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სოციოეკონომიკური გარემო და რა გავლენას ახდენს ის ბავშვების განვითარებაზე. კვლევებით დადგენილია, რომ ბავშვი ვითარდება გენეტიკურისა და სოციალური გარემოს კომბინირებული გავლენის შედეგად. როგორც დიმიტრი უზნაძე წერდა, *„მხოლოდ მცენარის თესლი არ არის საკმარისი მცენარის განვითარებისთვის, ასევე აუცილებელია სათანადო გარემო, რათა თესლი მცენარედ იქცეს.“*

კვლევისას გავითვალისწინეთ ისეთი მნიშვნელოვანი რგოლები ბავშვის განვითარებაში, როგორიცაა: ოჯახი, სკოლა და საზოგადოება. სამწუხაროდ, ბევრი მშობელი არ აქცევს სათანადო ყურადღებას ბავშვის განვითარებას, არ აქვთ სკოლის მიმართ ნდობა, ნაკლებ ინტერესს იჩენენ სასკოლო ცხოვრების მიმართ და მცირე დროს უთმობენ შვილებს. არ აქვთ სახსრები ბავშვის შემეცნებითი განვითარებისთვის (კინო, თეატრი, მუზეუმი, გამოფენა და სხვ.). სკოლა ის უჯრედია, სადაც ბავშვი იწყებს სამყაროს შეცნობას, სწავლობს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებს – სოციუმში ადაპტაცია და პრობლემების გადაჭრის უნარი.

მაგრამ არის კი ბავშვის აღზრდის და განვითარების კულტურა და შესაბამისი გარემო ჩვენს საზოგადოებაში? რა მოსდით ბავშვებს, რომელთაც არახელსაყრელ პირობებში უწევთ განვითარება?

მათ ექმნებათ პრობლემები: ინტელექტუალურ, ემოციურ, ფიზიკურ და სოციალურ სფეროებში.

131-ე საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორმა და სპეციალურმა მასწავლებლებმა ჩავატარეთ კვლევა აღნიშნულ თემაზე ინტერვიუს მეთოდით და რაოდენობრივი გამოკითხვით შემდეგი მიმართულებით: ინტერვიუ 131-ე სკოლის დირექტორთან, ქალბატონ **ხათუნა ენუქიძესთან** და 131-ე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესთან, ქალბატონ **მეგი როსტიაშვილთან**. ინტერვიუ თბილისის მუნიციპალიტეტის, ქვემო სამგორის მაჟორიტარ დეპუტატთან, ქალბატონ **ლია ჯახველაძესთან**. გამოვკითხეთ 131-ე სკოლის კლასის ხელმძღვანელები და სკოლის მოსწავლეების მშობლები.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა 2 ძირითადი საკითხი: სოციოეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორები.

რა განაპირობებს აფრიკის დასახლებაში სსსმ მოსწავლეების დიდ რაოდენობას?

სოციოეკონომიკური ფაქტორები: არაქართულენოვანი მოსახლეობის დიდი რაოდენობა; ვინაიდან აფრიკის დასახლება ადრე საქარხნო რაიონი იყო, მოსახლეობის ძირითად ფენას წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ/მუშაობენ ქარხნებში, რკინიგზაზე ან ვაჭრობით ირჩენდნენ/ირჩენენ თავს; კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისა და სოციალურად დაუცველების მაღალი პროცენტი; მრავალშვილიანი ოჯახები; მშობლების ინტელექტუალური დონის დაბალი მაჩვენებელი; საცხოვრებელი პირობები (მცირე საცხოვრებელი ფართი, არაჯანსაღი და არასრულფასოვანი კვება, არახელსაყრელი პირობები ჰიგიენისთვის). ეკოლოგიური ფაქტორები: გაუმართავი წყალმომარაგება და კანალიზაციის არარსებობა ზოგიერთ უბანში, ათეული წლების წინ აფრიკის ტერიტორიაზე იყო ნაგავსაყრელი, რომლის ნარჩენები დღესაც ტრიალებს ჰაერში.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს მშობლების ინტელექტუალურ დონეს, სამწუხაროდ, 67%-ს არ აქვს უმაღლესი/სპეციალიზირებული განათლება, სკოლაში მოსწავლეების 22% სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა, 20% – მრავალშვილიანი ოჯახებიდან, 19% – არასრულფასოვანი ოჯახებიდან (ჰყავს ერთი ან არც ერთი მშობელი), 20,1% – დაუსაქმებელი ოჯახებიდან. რაც შეეხება მშობელთა აქტიურობას I-IV კლასებში მშობელთა კრებას ესწრება მშობელთა 83,7 %, V-VI კლასებში – 69,2 %, VII-IX კლასებში – 53,1% და X-XII კლასებში – 38,2%. რაც შეეხება ბავშვების მხრიდან თავისუფალი დროის გამოყენებას, მშობელთა გამოკითხვით, 51% კომპიუტერთან/ტელევიზორთან ზის, 29% ეზოში თამაშობს, 15% დადის სპორტზე/წრეზე და მხოლოდ 5%-ია დაკავებული ინტელექტუალური სავარჯიშოების კეთებით/წიგნის კითხვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის ხელმძღვანელობასთან და მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, შევიმუშავეთ რეკომენდაციები.

შეუძლია თუ არა სკოლის ხელმძღვანელობას ამ პრობლემით გამოწვეული შედეგების გაუმჯობესება? ამისთვის, პირველ რიგში, ვგეგმავთ მშობლების აქტიურ ჩართვას ინკლუზიური განათლების პროცესში. ექიმის ჩართვას მოსწავლეების ჰიგიენის დაცვის გაუმჯობესების მიზნით. ფსიქოლოგის დახმარების მიღების შესაძლებლობა ექნება ყველა მოსწავლეს, აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობას ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით.

რაც შეეხება რეგიონის ხელმძღვანელობას, სამგორის რაიონის მუნიციპალიტეტს დაგეგმილი აქვს რაიონში: სპორტული მოედნებისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობა აუზით; სკოლის სპორტული დარბაზების აღჭურვა საჭირო ინვენტარით; მოლაპარაკება მიმდინარეობს GWP-თან (ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი), რათა 2015 წელს მთლიანად მოწესრიგდეს წყალმომარაგება და უზრუნველყოფილ იქნეს სასმელი წყლის სისუფთავე. იგეგმება საბავშვო ბაღების დამატება და არსებულ ბაღებში ჯგუფების დამატება, ბაღებში ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა.

საბოლოოდ, გავიმეორებთ, რომ ყველა რგოლი – ოჯახი, სკოლა, სოციუმი, ჯანსაღი გარემო და კვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის, ამიტომ ყველა რგოლმა მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ შედეგის მისაღწევად.

ინფორმაცია

მანდატურის სამსახური 5 წლისაა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 5 წლის იუბილე აღინიშნა და განვლილი პერიოდი შეჯამდა. ღონისძიების ფარგლებში, **თამარ სანიკიძემ** იმ მანდატურებს, რომელთაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, სიგელები გადასცა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მანდატურის სამსახურმა მნიშვნელოვანი თვისობრივი და შინაარსობრივი ცვლილება განიცადა და ჩამოყალიბდა, როგორც უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ინსტიტუცია, რომელიც სკოლას კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს მანდატურის, ფსიქოლოგიური ცენტრებისა და სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სახით.

მანდატურის სამსახურში ბოლო პერიოდში განხორციელდა:

- სტრუქტურული ცვლილება;
- შეიქმნა სკოლისთვის უსაფრთხოების დაცვის ინდივიდუალური მოდელი;
- შეიცვალა მანდატურთა მოსამზადებელი კურსი;
- დაიხვეწა ბავშვთა რეფერირების (გადამისამართების) საკითხები;
- ამოქმედდა რეფერირებისა და დარღვევის აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მანდატურის ფუნქცია – დღეს ორიენტირებულია მოსწავლის/სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისა და პედაგოგის უსაფრთხოებაზე, დანაშაულის პრევენციაზე. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მანდატურის სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობა, გასულ წელთან შედარებით 21%-ით შემცირდა საჯარო სკოლაში მომხდარი დანაშაულის რიცხვი.

მანდატურები მუდმივად ეცნობიან საერთაშორისო გამოცდილებას და ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, იმაღლებენ კვალიფიკაციას, ხდება მათი გეგმაზომიერი გადამზადება ახალი პროგრამების ფარგლებში. ამ ეტაპზე, მანდატურის სამსახურის მოქმედების არეალი საქართველოს ტერიტორიის 401 საჯარო და სამ კერძო სკოლაზე, ორ პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უნივერსიტეტზე ვრცელდება. თუმცა, დიდია მოთხოვნა იმ სკოლებიდანაც, სადაც მანდატურის სამსახური ჯერ კიდევ არ არის.

განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობს მანდატურის სამსახურის ბაზაზე მოქმედი ფსიქოლოგიური ცენტრები, სადაც კონკურსის შედეგად შერჩეული მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ბავშვთა ფსიქიატრები უფასო ფსიქოსოციალურ მომსახურებას უწევენ ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირებს, მათი ოჯახის წევრებს და მათ მასწავლებლებს. ფსიქოლოგიური ცენტრები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თელავსა და გორში ფუნქციონირებს. არსებული მოთხოვნის შესაბამისად, უახლოეს მომავალში ანალოგიური ცენტრების გახსნა დაგეგმილია რუსთავსა და ზუგდიდში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სერვისს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა წარმოადგენს, რომლის მიზანია IX-XI კლასის მოსწავლეების დახმარება პროფესიის სწორად არჩევაში. პროგრამა, საქართველოს მასშტაბით, 483 საპილოტე სკოლაში განხორციელდა და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პროგრამის დაწყებიდან დღემდე, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, 1000-ზე მეტი გაფართოებული შეხვედრა ჩატარდა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან და 750 სასწავლო ექსკურსია განხორციელდა საწარმოებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, პროფსასწავლებლებში.

მანდატურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: UNICEF, USAID, PH International და NASRO. ეს თანამშრომლობა ეფექტურს ხდის საქმიანობას. მსგავსი ტიპის თანამშრომლობა გაგრძელდება და გაღრმავდება.

თამარ სანიკიძე: *დღეს აღვნიშნეთ იუბილე და მოგვეცა საშუალება, სათითაოდ ყველა მანდატურს, იმ სკოლას, სადაც მანდატურები მუშაობენ, ადმინისტრაციის თანამშრომლებს და დირექტორებს გადავუხადოთ მადლობა იმისათვის, რომ მიიღეს ახალი კონცეფცია, რეფორმა, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ საზოგადოებას, ჩაერთენ ამ რეფორმის განხორციელებაში და ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვყვებოდნენ იმისათვის, რომ დღეს მანდატურის სამსახურს მიეღო ის სახე, რომელიც ბევრად მისაღებია საზოგადოებისთვის. ის, რომ მანდატურის სამსახური გახდა მოთხოვნადი, იმაზე მიუთითებს, რომ ეს სამსახური მართლაც წარმატებულია. ვფიქრობ, რომ უსაფრთხო სკოლის კონცეფციის განხორციელებაში, მომავალშიც, სამივე მხარე – სამინისტრო, მანდატურის სამსახური და, რა თქმა უნდა, სკოლა და სკოლის ადმინისტრაცია მჭიდროდ ვითანამშრომლებთ, რომ კიდევ უფრო მეტ შედეგს მივაღწიოთ.*

ლევან ზარდალიშვილი, მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე: *დღეს არის მანდატურის სამსახურის დაბადების დღეა, ამიტომ მინდა ყველა მანდატურს, ამ სამსახურის ყველა თანამშრომელს, ადმინისტრაციას მივულოცო ეს დღე და ვუსურვო წარმატებები პირად ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, მათ საქმიანობაში. მინდა გითხრათ, რომ ეს სამსახური საკმაოდ შეიცვალა, ბოლო ორი წლის განმავლობაში კონტროლზე ორიენტირებული მიდგომიდან ნელ-ნელა გადავიდა ზრუნვაზე ორიენტირებულ მიდგომაზე. მანდატურებმა გაიარეს ძალიან ბევრი გადამზადება, სხვადასხვა სახის ტრენინგი, რის შედეგადაც მათ უკეთ შეუძლიათ ამა თუ იმ პრობლემის იდენტიფიცირება და იციან, რა უნდა გააკეთონ პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში. მანდატურის სამსახურის ბაზაზე გაიხსნა ფსიქოლოგიური ცენტრები. უკვე 6 ფსიქოლოგიური ცენტრი გვაქვს – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თელავსა და გორში – წელს გაიხსნება კიდევ ორი – ზუგდიდსა და რუსთავში. ეს ცენტრები დახმარებას უწევენ ბავშვებს, პედაგოგებს, ფაქტობრივად, ეხმარებიან ყველას, ვინც არის სასკოლო ასაკის, მათ მშობლებსაც, ყველას, ვისაც მსგავსი დახმარება სჭირდება. იმედი მაქვს, რომ ამ სამსახურის მუშაობა სულ უფრო და უფრო ეფექტური გახდება.*

ხათუნა ხუბეჟოვი, მანდატური: *ვულოცავ ყველა ჩემს კოლეგას მანდატურის სამსახურის დაარსების დღეს. ვფიქრობ, ძალიან საჭირო სამსახურია, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ბავშვებთან, ვცდილობთ ავარიდოთ მათ ძალადობა, ვმუშაობთ პრევენციაზე. ამიტომ, ბოლო ორი წელია განსაკუთრებით შემცირდა ძალადობა სკოლებში. ამაში ხელს გვიწყობს სკოლების ადმინისტრაცია, ჩვენ ვთანამშრომლობთ მათთან. მიხარია, ამ სამსახურში რომ ვარ და ბავშვებთან ვმუშაობ.*

სასკოლო აქტივობა

ქართული ენის კვირეული

14 აპრილი ქართული ენის დღეა... დღე, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს თითოეულ ქართველს.

განუზომელია დედაენის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქართულ ენას, ისე როგორც საქართველოს, მისი არსებობის მანძილზე, ბევრჯერ ჰქონია დაკნინების, დაცემის, შევიწროების, დევნის მწარე ეპიზოდები. დედაენისთვის ზრუნვა მუდამ იყო და არის თითოეული ქართველის მოვალეობა.

სწორედ ქართული ენის დღეს მიეძღვნა სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ეთერ გურული**) „ქართული ენის კვირეული“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი და რომლის მომზადებასა და ჩატარებაში, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად, მთელი სკოლა მონაწილეობდა.

კვირეულის პირველი დღე დაეთმო კალიგრაფიის კონკურსს – „ვინ უკეთ წერს“.

მეორე დღეს მოეწყო მხატვრული კითხვის კონკურსი.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი კონფერენცია „ჭიათურის ენის მარგალიტები“, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქალაქში გამოკრულ განცხადებებში დაშვებული გრამატიკული შეცდომები და მათი ენობრივი ანალიზი.

შემდეგი დღე ესეების კონკურსს დაეთმო, მოსწავლეებმა წერეს ესე: „ქვეყნისა და ჩემი სატკივარი“.

კვირეულის ბოლო დღეს გაიმართა შემაჯამებელი ღონისძიება „მამული, ენა, სარწმუნოება“, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა დედაენისადმი მიძღვნილი ლექსები და სიმღერები.

სკოლის დირექტორმა კვირეულის შედეგები შეაჯამა და გამარჯვებულები სიგელებით დააჯილდოვა.

იმედს ვიტოვებთ, ჩატარებული ღონისძიებები ერთ მარცვალს მაინც გააღვივებს ჩვენი აღსაზრდელების გულებში, სათუთად მოუვლიან და დაიცავენ ქართული ენის სიწმინდეს, გაუფრთხილდებიან საყვარელ მამულს, ენას და სარწმუნოებას.

თამარ კვანტიძე
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

იუბილე

ღირსეულ მამულიშვილთა კვალდაკვალ

პირველ აპრილს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც ეძღვნებოდა: ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის დაბადებიდან155-ე, „ქართული ხოროს“ დაარსების 130, იოსებ რატილის დაბადებიდან175-ე წლისთავს.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“ (ხელმძღვანელი – **ლევან ფრუიძე**), აღნიაშვილების საგვარეულოს მკვლევარი, ა. პუშკინის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, მ. გორკისა და მ. ლერმონტოვის საიუბილეო ლიტერატურული კონკურსების დიპლომანტი ნომინაციაში „საუკეთესო პუბლიცისტური ნაწარმოები“, „ფაზისის“ საერო აკადემიის საპატიო წევრი, სერტიფიცირებული პედაგოგი **ციური ბერიძე**; წამყვან-პრეზენტატორი – ი. გოგებაშვილის მედლის კავალერი **ლამარა გოგუაძე**.

მოგეხსენებათ, რომ ერის სულიერი კვდომა იწყება მაშინ, როცა ვივიწყებთ წარსულს, პატივს არ მივაგებთ ერის მასაზროებელ ფესვებს, ხის სიმაღლეც ხომ ფესვებიდან იზომება!

ამ სამი მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნით დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენეთ ღირსეული მამულიშვილების ღვაწლი. დარბაზის ფართო ეკრანზე მოეწყო აღნიაშვილების გვარის მკვლევარის, ციური ბერიძის წიგნის „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ პრეზენტაცია. წიგნში ღრმად და ამომწურავადაა აღწერილი საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, „სამოციანელების“ განათლების კონცეფცია და რეფორმატორული საქმიანობა, ლადო აღნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები: ოჯახური გარემო, სოფელი შილდა; აღნიაშვილების გვარი; ლადო აღნიაშვილის პიროვნული თვისებების ფორმირების პერიოდები.

ასევე ფართოდაა გაშუქებული ლადო აღნიაშვილის დიდაქტიკური შეხედულებები, მისი პედაგოგიური მოღვაწეობა – მემკვიდეობა: ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანი“, სტატიების ციკლი „საკვირველებანი ბუნებისა“, ლინგვოდიდაქტიკური და ლექსიკოლოგიური პრობლემები.

მკვლევარი ღრმად და საფუძვლიანად მიმოიხილავს ლადო აღნიაშვილის ღვაწლს ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის ისტორიაში. მითხველს სთავაზობს ლადოს მიერ ხალხში შეგროვილ და გამოცემულ ხალხურ ზღაპრებსა და მათი ინგლისურად თარგმნის პირველ ცდას, შეგროვილ იგავ-არაკებს.

განუზომელია აღნიაშვილის ღვაწლი ქართული მუსიკალური კულტურის განვითარება-აღორძინების საქმეში, სწორედ აქ იკვეთება მისი სახელი დიდ ჩეხ მუსიკოს იოსებ რატილთან. მათი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი შრომით დაარსდა „ქართული ხორო“, გაცოცხლდა და განახლდა ათეულობით ხალხური სიმღერა, ფოლკლორის მარგალიტები, ჩაიწერა და დაიხვეწა მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერები, გაიმართა მრავალი ფოლკლორული საღამო, აღიზარდა ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელთა რამდენიმე თაობა, პოპულარიზაცია გაეწია ქართულ ფოლკლორს.

წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავია „ლადო აღნიაშვილი და ფერეიდნელი ქართველები“. მკვლევარს საიტერესოდ და ემოციურად აქვს აღწერილი ის მოწამეობრივი გზა და ღვაწლი, რომელიც გასწია ლადო აღნიაშვილმა ფერეიდანში მოგზაურობისას. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება ლადოს მიერ მოძიებული არაჩვეულებრივი ისტორიული მასალები ფერეიდნელ ქართველებზე, სადაც დეტალურადაა აღწერილი არა მარტო მოგზაურობის ეტაპები, არამედ ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების ამსახველი ჩანაწერები.

საგულისხმოა, ლადო აღნიაშვილის ღვაწლი ქართული თეატრის დაარსების საქმეში. ასევე ლადო, როგორც პუბლიცისტი და გამომცემელი, პირველი საკოოპერაციო საქმის დაარსების ინიციატორი. მონოგრაფიას დართული აქვს თანამედროვეთა მოგონებები ლადო აღნიაშვილზე და რეზიუმე: დანართი სტატიების ციკლიდან „საკვირველებანი ბუნებისა“, შეგროვილი და გამოცემული იგავ-არაკები, ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანი“ – „ენ“ წიგნის V გასართობი, „დონ“ წიგნი IV, საარქივო მასალები, პირთა საძიებელი, ფოტომასალა.

პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ და ღვაწლმოსილ მამულიშვილებზე ისაუბრეს სტუმრებმა: ჩეხეთის ელჩმა საქართველოში **ტომაშ პერნიცკიმ**, მუსიკათმცოდნემ და ფოლკლორისტმა **ანზორ ერქომაიშვილმა**, კონსერვატორიის პროფესორმა **გულბათ ტორაძემ**, შილდელმა, ილიას უნივერსიტეტის პროფესორმა **დურმიშხან ჩიტაშვილმა**, საგვარეულო კავშირი „გვარი და გვარიშვილობის“ ხელმძღვანელმა **ლევან ფრუიძემ**, პროფესორმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა **თამაზ კარანაძემ**, „ფაზისის“ საერო აკადემიის პრეზიდენტმა **ნუგზარ ნადარაიამ**, ქ. რუსთავის საკრებულოს თავჯდომარემ **დავით მაღლაკელიძემ**, კომპოზიტორმა **ალექსი შანიძემ** (დედით აღნიაშვილია), **გიორგი ალავერდაშვილმა** (ფერეიდანში ნამყოფი ქართველი), რუსთავის „ჩოხოსანთა კავშირის“ ხელმძღვანელმა **შალვა გულედანმა**.

საღამოს მუსიკალურად ალამაზებდა „ერისიონის“ მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებული არაჩვეულებრივი ქართული ჰანგები. ბატონმა **ჯემალ ჭკუასელმა** ისაუბრა საიუბილეო თარიღების აღნიშვნის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე და დასძინა, რომ ანსამბლი „ერისიონი“ „ქართული ხოროს“ ტრადიციების გამგრძელებელია.

დასასრულ წიგნის ავტორმა ციური ბერიძემ ისაუბრა მთელ რიგ პრობლემებსა და თავგადასავლებზე, რაც მას შეემთხვა კვლევის მიმდინარეობისას, სამომავლო გეგმებზე და მორალური მხარდაჭერა ითხოვა იმ საშვილიშვილო საქმეში, რასაც წარსულის უკვდავყოფა ჰქვია. მანვე დასვა საკითხი ლადო აღნიაშვილისა და იოსებ რატილის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის აღმართვის და ლადო აღნიაშვილის წმინდანად შერაცხვის შესახებ, სასურველად მიიჩნია ექსპედიცია ფერეიდანში, გასვლითი პროექტ-პროგრამა ჩეხოსლოვაკიაში, ი. რატილზე მოკვლეული მასალების მონოგრაფიად გამოცემის აუცილებლობა, უკვე გამოცემული წიგნების დამატებითი ტირაჟით გამოცემისათვის სახსრების მოძიება და სხვ.

აქვე საზოგადოებას ეუწყა იმ მრავალფეროვან ღონისძიებათა შესახებ, რაც წლების განმავლობაში ლადო აღნიაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩატარდა.

დასასრულ, დავესესხები ილიასეულ სიბრძნეს: *„სიცოცხლე ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამის, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა. მზე რომ ამოვა ცის კაბადონზე იქ ვარსკვლავთა ციმციმი არ სჩანან მაშინ“.* ეს სიტყვები თავიანთი მოწამეობრივი სიცოცხლით დაადასტურეს საქართველოს დიდმოჭირნახულე ლადო აღნიაშვილმა და იოსებ რატილმა. მადლიერი შთამომავლობა არ დაივიწყებს მათ გმირობასა და თავგანწირვას.

ლამარა გოგუაძე
ქ. რუსთავის ჟ. შარტავას სახელობის მე-4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, ი. გოგებაშვილის მედლის კავალერი

სასკოლო აქტივობა

გაზაფხული იღიმება

სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) II[6] კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი „მე და თეატრი“. პროექტი მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ლიტერატურისადმი, ხელოვნებისადმი, კერძოდ კი თეატრისადმი ინტერესის გაღვივებას. პროექტი ითვალისწინებდა ქართული ენის, ხელოვნებისა და მუსიკის ინტეგრაციას. დავსახეთ ამოცანები და პროექტის განხორციელების გზები. შევიძინეთ აბონემენტები და ვესწრებოდით სოხუმის თოჯინების თეატრის სპექტაკლებს. თითოეული სპექტაკლის ნახვის შემდეგ ბავშვები წერდნენ თხზულებებს, აღწერდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, დამოკიდებულებებს, ხატავდნენ მათთვის საინტერესო ეპიზოდების ამსახველ ნახატებს. შევიტყვეთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, ახორციელებდა პროექტს „ექსკურსია თეატრში“, რასაც სიამოვნებით შევუერთდით.

ვეწვიეთ ნ. დუმბაძის სახელობის

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს. ბავშვები დაესწრნენ სპექტაკლს და, რაც მთავარია, საშუალება მიეცათ ენახათ მათთვის აქამდე საიდუმლოებით აღსავსე სამყარო, რასაც „კულისებს მიღმა თეტრი“ ჰქვია. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაათვალიერეს რეკვიზიტების, კოსტიუმების ოთახები, საგრიმიოროები, თეატრის დიდი და პატარა სცენები, გადაიღეს ფოტოები მსახიობებთან. დიდი მადლობა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ **დიმიტრი ღვთისიაშვილს**, რომელმაც თავად იკისრა ჩვენი ექსკურსიამძღოლობა.

ინტერესი თეატრისადმი იმდენად გაძლიერდა, რომ გაჩნდა სურვილი, თავადაც დაგვედგა სპექტაკლი. შევარჩიეთ სცენარი, რომელშიც თითოეულ მოსწავლეს ექნებოდა როლი. „გაზაფხული იღიმება“ ასე ერქვა სპექტაკლს (ავტორი – **სოფიო კაკაჩია**). სცენარში თავმოყრილია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ტოლერანტობა, ხალხთა შორის სიყვარული, წამოწეულია ქართველი ემიგრანტების თემა, ასევე მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილი, ეკოლოგიის საკითხები – ბუნების სიყვარული და დაცვის აუცილებლობა, იმის გაცნობიერება, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია

ამა თუ იმ მცენარეს. თან, ეს ყველაფერი ხდება გაზაფხულის ფონზე, ზღაპრული გმირებისა და უმშვენიერესი სიმღერების თანხლებით. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ შედგა ნამდვილი მიუზიკლი. მოვამზადეთ დეკორაციები, აფიშა, მოსაწვევები დავგზავნეთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებში, რაიონულ რესურსცენტრში. ჩვენი „პრემიერა“ მარტის ბოლოს გაიმართა. სპექტაკლს ესწრებოდნენ სტუმრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები... აპრილის დასაწყისში, სკოლის დირექციისა და მშობლების თანადგომით, კვლავ ვითამაშეთ სპექტაკლი. სტუმრად მოვიწვიეთ ჩვენი პარალელური კლასელები და ბავშვები ბერი ანდრიას სახელობის ფონდიდან, დედა თინათინთან ერთად.

დიდი მადლობა მშობლებს, ჩვენს მუსიკის მასწავლებელს – ქალბატონ **ნინო გიორგობიანს** და მხატვარ-დეკორატორს, VI კლასელის მშობელს – **თინათინ ზარქუას** სპექტაკლში შეტანილი წვლილისათვის.

ნატო ხაჭაპურიძე
II[6] კლასის ხელმძღვანელი

მშობელთა კრება

ზრდის შეფერხება – მიზეზები და მკურნალობის მეთოდები

ადამიანის სხეულის სილამაზე პირდაპირ არის დაკავშირებული სიმაღლესთან. ბავშვებისგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთ სიმაღლეს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ, მოზარდებს, იმის გამო, რომ მათი სიმაღლე არ შეესაბამება ეტალონს, ხშირად უჩნდებათ საკუთარი თავისადმი უკმაყოფილების გრძნობა და უყალიბდებათ კომპლექსები. ბავშვების ზრდაში ჩამორჩენის პრობლემა (განსაკუთრებით – ადრეულ ასაკში) ხშირად მშობლებსაც აშფოთებთ. უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, რისი ბრალია გადახრა. მიზეზების სია საკმაოდ ვრცელია. სწორედ სიმაღლეში ზრდის შეფერხების მიზეზებსა და გამოსავალზე სასაუბროდ ვეწვიეთ ს/ს „ვერე XXI“-ის კლინიკა „მედსის“ ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური და სქესობრივი განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ***მაია რეხვიაშვილს****.*

– ქალბატონო მაია, რამ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდის სიმაღლეში ზრდის შეფერხება?

– სიმაღლეში ზრდა ბავშვთა და მოზარდთა ნორმალური ფიზიკური განვითარების ინდიკატორია. ბავშვთა ფიზიკური ზრდა-განვითარების შეფერხება საკმაოდ ხშირად გვხვდება ენდოკრინოლოგიურ პრაქტიკაში. ზრდაში ჩამორჩენა ასევე სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ასეთებია:

• საკვების მონელება-შეწოვის დარღვევებით მიმდინარე დაავადებები;

• გენეტიკური დარღვევები;

• სხვადასხვა ორგანოთა სისტემის ქრონიკული უკმარისობა და სხვ.

ამრიგად, ზრდის შეფერხება იმაზე მიუთითებს, რომ ორგანიზმი იმყოფებოდა ან იმყოფება არახელსაყრელ პირობებში ინდივიდუალური განვითარების რომელიღაც ეტაპზე, დაწყებული ჯერ კიდევ საშვილოსნოსშიდა განვითარების პერიოდიდან. ეს პირობებია:

• დედის ქრონიკული დაავადებები;

• დედის არასრულფასოვანი კვება;

• დედის მიერ ალკოჰოლის ან ნიკოტინის მოხმარება ორსულობის დროს;

• ნაყოფის ტრავმული დაზიანებები სამშობიარო გზების გავლისას და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოსოციალური პრობლემებით გამოწვეულ ზრდაში ჩამორჩენას. აქედან გამომდინარე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჯანსაღი იყოს ის გარემო და ურთიერთობები, რომელთა წიაღშიც ბავშვი იზრდება - დედისა და შვილის, ბავშვისა და ოჯახის და ა.შ.

– რა ასაკის ბავშვები მოჰყავთ თქვენთან უმეტესად ზრდაში ჩამორჩენით?

– თითქმის ყველა ასაკის, მაგრამ გამოვარჩევდი რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფს:

• 3-4 წლის ბავშვები, რომლებიც ახალშობილობის პერიოდიდანვე ჩამორჩებოდნენ თანატოლებს (დაბადების მასა – 2500 გ-ზე ნაკლები);

• 6 წლის ბავშვები. მათი ჩამორჩენა თვალში საცემია სკოლაში შესვლისას;

• სქესობრივი გარდატეხის პერიოდი, როდესაც იგვიანებს მეორეული სასქესო ნიშნების განვითარება. ეს არის 12-დან 14 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი.

– საშუალოდ რა ასაკამდე იზრდება გოგონა და რა ასაკამდე – ვაჟი?

– ადამიანის სიცოცხლის დაახლოებით მეოთხედი სჭირდება სიმაღლეში ზრდისა და სქესობრივი მომწიფების პროცესს. დროის ეს მნიშვნელოვანი მონაკვეთი, როგორც ნორმალური ვარიანტი ზრდისა და განვითარებისა, ინდივიდუალური თავისებურებით ხასიათდება. მასზე გავლენას ახდენს როგორც გარემო და გენეტიკური ფაქტორი, ასევე ორგანიზმის საკუთარი, ფენოტიპური განვითარების თავისებურებები. აქ შეიძლება გამოვიყენოთ ერთი მნიშვნელოვანი აუქსოლოგიური (აუქსოლოგია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ზრდასა და გამრავლებას ნიშნავს) ტერმინი – ძვლის ასაკი, რომელიც ძვლის სიმწიფის გამომხატველია და განისაზღვრება ძვლის ეპიფიზების (ე.წ. ზრდის ზონების) შეერთების რენტგენოგრაფიული გამოსახულების შედარებით ატლასებში მოცემულ ნორმებთან, რომლებიც გვიჩვენებს სხვადასხვა ასაკისათვის ძვლოვან მომწიფებას. იგი, თავის მხრივ, შეიძლება ჩამორჩებოდეს, უსწრებდეს ან ემთხვეოდეს ქრონოლოგიურ (სპასპორტო) ასაკს. ძვლის ასაკის დადგენა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მოზარდის ზრდის დარჩენილი შესაძლებლობები და გამოვთვალოთ მისი სავარაუდო სიმაღლე. თუმცა ძვლის ასაკი არ არის დეფინიციური დიაგნოზური ტესტი, ის სხვა ფაქტორებთან ერთად მხოლოდ გვეხმარება სწორი დიაგნოზის დასმაში. საზოგადოდ კი გოგონებში – 18 წლის ძვლოვანი ასაკით და ვაჟებში – 19 წლის ძვლოვანი ასაკით ხაზოვანი ზრდა წყდება.

– არსებობს ნიშნები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ბავშვის ენდოკრინოლოგთან მიყვანა აუცილებელია?

– მრავალი ისეთი სიმპტომი არსებობს, რომელთა შემჩნევისას ბავშვმა უნდა გაიაროს პედიატრის ან პედიატრ-ენდოკრინოლოგის კონსულტაცია და, საჭიროებისამებრ, სპეციალური ლაბორატორიული თუ სხვა პარაკლინიკური გამოკვლევები. ეს სიმპტომებია:

• ზრდის შეფერხება;

• ჭარბი წონა;

• მეორეული სასქესო ნიშნების განვითარების დაგვიანება.

უმჯობესია, აღნიშნულ სიმპტომებს გამოჩენისთანავე მიექცეს ყურადღება, რადგან დროული სამედიცინო ჩარევა ამცირებს პრობლემებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საბოლოო შედეგისთვისაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

– სიმაღლე გენეტიკურადაც ერგებათ ჩვენს შვილებს. არის შემთხვევები, როცა ბავშვს არ აღენიშნება არავითარი დარღვევა, მაგრამ ასაკთან შედარებით დაბალია.

– მართალი ბრძანდებით. გენეტიკური ფაქტორები უდავოდ ახდენს გავლენას საბოლოო სიმაღლეზე. დადგენილია კორელაცია მშობლების საშუალო სიმაღლესა და ბავშვის სიმაღლეს შორის. შექმნილია სპეციალური მრუდები და ცხრილები ამ ფენომენის ასახსნელად.

საბოლოო სიმაღლე უპირატესად გენეტიკურად არის დეტერმინირებული და მას სამიზნე სიმაღლე ეწოდება. აქედან გამომდინარე, ზრდაში ჩამორჩენა თავისთავად არ არის დიაგნოზი. საჭიროა, ექიმმა დაადგინოს ჩამორჩენის მიზეზი და შეაფასოს, პათოლოგიაა ეს თუ ნორმის ვარიანტს შეესაბამება.

– თუ არსებობს ისეთი საკვები, რომელიც ბავშვობის ასაკში ხელს შეუწყობს სიმაღლეში ზრდას?

– ვერც ერთ პროდუქტზე ვერ დავსვამ აქცენტს, ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა: სრულფასოვანი კვება და სწორი დღის რეჟიმი ნორმალური ზრდისა და განვითარების საწინდარია.

– ჩვენს ფარმაცევტულ ბაზარზე ბევრი ვიტამინური კომპლექსია. შეიძლება თუ არა ექიმთან შეუთანხმებლად მათი მიღება?

– ვფიქრობ, მკითხველმა უკვე დიდი ხანია იცის, რომ ექიმთან შეუთანხმებლად არავითარი სამკურნალო თუ პროფილაქტიკური საშუალების მიღება არ შეიძლება. უნდა განსაზღვროს დოზა და, საერთოდ, აუცილებელია თუ არა მისი მიღება. საზოგადოდ კი საქართველოში მცხოვრებ ბავშვს, თუ ის სრულფასოვნად იკვებება, ვიტამინოთერაპია არ უნდა დასჭირდეს.

– რას ურჩევდით მკითხველს?

– მინდა, თქვენს მკითხველს რამდენიმე რჩევა მივცე:

• არ დააწვინოთ ბავშვი მაძღრისად ნაჭამი;

• ბავშვს უნდა ეძინოს მშვიდად არანაკლებ 10 საათისა;

• ეცადეთ, ფიზიკურად იაქტიუროს – ეს ნორმალური ზრდისა და განვითარების კარგი სტიმულატორია

ლალი ჩხიკვაძე

mkurnali.ge

სპორტი

წარმატება ასაკობრივ ევროპირველობაზე

სერბულ ნოვი სადში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა შორის, რომელშიც ჩვენმა გუნდებმა, ტრადიციულად, დიდი წარმატებით იასპარეზეს. განსაკუთრებით – ჭაბუკებმა, რომლებმაც 10 წონიდან 6-ის ფინალში იჭიდავეს. საერთო ჯამში, მათ 9 მედალი ირგუნეს – სამივე სინჯის 3-3 ჯილდო და გუნდური პირველობაც მოიგეს. ევროპის ჩემპიონები **ჯამბულ ქურდიანი** (65), **ნიკა სიდამონიძე** (87) და **დავით რაზმაძე** (+87) გახდნენ, **ჯაბა პაპინაშვილმა** (48), **ენვერ ლაცაბიძემ** (52) და **ტრისტან მოსახლიშვილმა** (75) კი ფინალური პაექრობები დათმეს და მეორეზე დარჩნენ, ხოლო კონტინენტის მესამე პრიზიორობას **ვახტანგ მეტივიშვილი** (56), **ალექსი ქიტიაშვილი** (70) და **იმედა გოგოლაძე** (81) დასჯერდნენ.

ურიგოდ არც ახალგაზრდებს უჭიდავიათ – მათი მონაგარი 7 ჯილდოა: 3 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. გუნდურ ჩათვლაში ესენი მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ და მეორეზე გავიდნენ. ევროპის ჩემპიონის ტიტულს **ირაკლი კუპატაძე** (57), **თორნიკე ჭოველიძე** (68) და **დავით ოზბეთელაშვილი** (100) დაეუფლნენ. ფინალურ პაექრობებში **გიორგი მელქუაშვილი** (48) და **ირაკლი გოგია** (90) დამარცხდნენ, ბრინჯაო კი **გიორგი მირაშვილმა** (52) და **გიგა გელაშვილმა** (100 მოიპოვეს.

მედალი მოიპოვა გოგონების ნაკრებმაც 17-წლამდელთა შორის – 56 კილოგრამში მესამე ადგილზე გავიდა **შორენა შარაძე**.

მედლები ვანაძორში

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა წარმატებით მოიარეს სომხეთი, სადაც ქალაქ ვანაძორში ოვანეს ბაგრამიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს. იქ ჭაბუკთა უმცროსი ასაკის ფალავნები ასპარეზობდნენ, ჩვენებურთა მონაგარი კი 9 მედალია – 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

ქართველებმა განსაკუთრებული წარმატებით 85 კილოგრამში იჭიდავეს, სადაც ქართული ფინალი გაიმართა, კვარცხლბეკზე სამი ჩვენებური დადგა. ფინალში თბილისელმა **ბექა ჭელიძემ** თანაქალაქელი **შალვა დოხნაძე** დაამარცხა, ბრინჯაოს კი კიდევ ერთი თბილისელი **ჯაბა მაისურაძე** დაეუფლა.

ჭელიძის გარდა, ვანაძორში ჩემპიონები ხაშურელი **ცოტნე მიქელაშვილი** (76) და თბილისელი **ბექა ნადაშვილიც** (100) გახდნენ. ვერცხლის მედალს გორელი **გიორგი ბერუაშვილი** (42) დაეუფლა, ბრინჯაოს კი ამბროლაურელი **გიორგი ელბაქიძე** (50), ხაშურელი **ავთანდილ გოდელაშვილი** (58) და სამტრედიელი **ელგუჯა ბალანჩივაძე** (100) დაეუფლნენ.

31 მედალი ბაქოდან

მოჭიდავეთა ასაკობრივმა ნაკრებებმა – ახალგაზრდებმაც და ჭაბუკებმაც – შესაშური წარმატებით იასპარეზეს ბაქოში ჩატარებულ „აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასის“ გათამაშებაში. ეს არც ისე ხანგრძლივი ისტორიის მქონე შეჯიბრებაა და ყოველთვის აპრილში ტარდება, რადგან ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ისახავს მიზნად. მშვენიერი დარბაზისა და ყოველმხრივ კარგი პირობების გამო იქ მუდამ ძლიერი შემადგენლობა გამოდის და ერთ-ერთი მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაცაა ამ ასაკისთვის, სიძლიერის ეტალონად მიიჩნევა და იქ მოპოვებული წარმატება ბევრს ნიშნავს. იგი პარალელურად ტარდება ორივე ასკობრივ კატეგორიაში როგორც თავისუფალი სტილით, ისე ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა შორის, ანუ იქ ორივე სახეობაში ერთი ქვეყნიდან 4-4 ნაკრები გამოდის. ეს ტურნირი წლეულსაც ფრიად წარმომადგენლობითი გამოდგა და მით უფრო დასაფასებელია ჩვენებურთა კარგი გამოსვლა – ქართული დელეგაციის საერთო მონაგარი 31 მედალია. განსაკუთრებული წარმატებით მაინც ბერძენ-რომაელებმა იასპარეზეს – ჭაბუკებმა 8 მედალი მოიპოვეს, ახალგაზრდებმა – 9. ორივე ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მესამეზე გავიდა. ჭაბუკი „თავისუფლების წილად“ 4 ჯილდოა, ამავე სტილის ახალგაზრდებმა კი, რომლებიც შესუსტებული შემადგენლობით ჭიდაობდნენ (მწვრთნელებმა ლიდერთა ნაწილი საქართველოს ეროვნული პირველობისთვის დაასვენეს), 3 მედალი ირგუნეს.

ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ჭაბუკთა 8 მედლიდან 2 ოქროა, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ჩემპიონები **გიორგი მეფიშვილი** (46) და **დავით ბაკურაძე** (63) გახდნენ, **ვაჟა გოთუამ** (69) მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაოს მედლებს კი **რომან ლომინაძე** (54), **ნოდარ შავაძე** (69), **ბადრი ჯანელიძე** (76), **რობინზონ ესაძე** (85) და **საბა ცეცხლაძე** (100) დაეუფლნენ. ბრინჯაოს მედლისთვის გადამწყვეტი შეხვედრები დათმეს და მეხუთე ადგილზე დარჩა ჩვენი გუნდის კიდევ სამი წევრი: **ირაკლი ნაკაშიძე** (42), **თემურ გოგია** (50) და **ლერი აბულაძე** (54). განსაკუთრებით მოულოდნელი აბულაძის უმედლოდ დარჩენაა – ის 14 წლის ასაკში უფროსთა შორის გახდა საქართველოს ჩემპიონი, თუმცა წლეულს წონითი კატეგორია შეიცვალა და, სავარაუდოდ, ამანაც შეუშალა ხელი.

ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებმა 3 ოქრო და 6 ბრინჯაო მოიპოვეს. ჩემპიონები **ლევან ქავჟარაძე** (60), **რამაზ ზოიძე** (66) და **ზვიად პატარიძე** (120) გახდნენ, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კი **ნუგზარ წურწუმია** (50), **დავით ჩხარტიშვილი** (55), **ირაკლი შავაძე** (60), **გიორგი მელია** (84), **სულხან ბუნიძე** (96) და **ბექა კანდელაკი** (120) დადგნენ. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მელიამ თანაგუნდელი **გიგა ქოქოლაძე** დაამარცხა – 3:1. ამავე წონაში კიდევ ერთი ჩვენებური დარჩა მეხუთე ადგილზე – **ნიკა გავაშელი**.

ამ ნაკრებიდან გამოვარჩევთ ზოიძეს, ვინც დღემდე ორივე სტილში წარმატებით ჭიდაობდა – „თავისუფლებშიც“ და ბერძენ-რომაელებშიც, თუმცა საბოლოო არჩევანი მაინც მეორეზე შეაჩერა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა 4 მედლიდან არც ერთი არაა ოქროსი – 1 ვერცხლია და 3 ბრინჯაო. ტურნირის ვიცე-ჩემპიონი **დემურ მეგენეიშვილი** (76) გახდა, მესამე ადგილზე კი **გოგა მამიაური** (58), **ივერიკო ჯულაყიძე** (69) და **ზურაბ ურთაშვილი** (100) გავიდნენ. ეს ნაკრები ყველაზე უიღბლო გამოდგა, რადგან ერთბაშად 7-მა სპორტსმენმა წაგო ბრინჯაოსთვის შეხვედრა!

ამავე სტილით მოჭიდავე ახალგაზრდების წილად 1 ოქრო და 2 ბრინჯაო მოდის. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია **გივი მაჭარაშვილის** (96) გამოსვლა – ის წლეულს გადმოვიდა ჭაბუკებიდან, თუმცა ამის მიუხედავად, ტრიუმფალურად გაიმარჯვა. ბრინჯაოს მედლები **რობერტ დინგაშვილმა** (50) და **გიორგი სულავამ** (60) მოიპოვეს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**

ისტორიის მიღმა

ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

ტექსტი
საატესტატო გამოცდისათვის

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

9 ლარი

საკვანძო რვეული ქართულ მართლწერაში

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



ენციკლოპედია



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ეთნოგრაფიული ალბომები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 *(42X59.4 სმ)*

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 *(59.4X84.1 სმ)*

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქტიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით აღმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბალი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

როცა სიბნელეს მკვეთრი ენაცვლება

„ის არასდროს არის იქ, სადაც პოლიტიკური მღელვარებაა, არც იქ, სადაც მსოფლიოს ცხელი წერტილია, სამაგიეროდ არის ყველგან, სადაც მარტოდ მოხეტიალე ფოტოგრაფის დაკვირვებული თვალი ზედაპირული ფორმებით არ კმაყოფილდება და ახალი სივრცეების და ახალი შინაარსების ძიებისკენაა მიმართული“ – ასე ახასიათებენ სლოვენური წარმოშობის ფრანგ ფოტოგრაფს **კლაუდი სლუბანს**. თანამედროვე ევროპულ ფოტოგრაფთა ახალი თაობის გამორჩეული ხელოვანი მე-20 საუკუნის დოკუმენტური ფოტოგრაფიის დიდი ტრადიციების ერთ-ერთ გამგრძელებლად მიიჩნევა, რომლის ფორმირებაც ანრი კარტიე-ბრესონის, რობერტ ფრანკის, გარი ვინოგრანდის და სხვათა სახელებს უკავშირდება. მისი ცხოვრების თანმდევია მოგზაურობა, რომელიც არაერთი ექსპოზიციის ინსპირაცია ხდება ხოლმე. ერთ-ერთია მოგზაურობა, რომელიც შავი ზღვის აუზის, ბალტიისპირეთის და ბალკანეთის ქვეყნებში გადაღებული ფოტოების სერიას მოიცავს. ავტორის ერთ-ერთი ჩანაწერი მოგზაურობის შეწყვეტას არსებობის შეწყვეტასთან აიგივებს: *„მატარებელი. ავტობუსი, ისევ მატარებელი. მარტო სიარული ქუჩაში, გზებზე. სიარული და ისევ სიარული. ბარგის გარეშე, თავისუფლად რომ იყო... კიდევ ერთი ავტობუსი, შემდეგ ქალაქი. ისევ გზა. ღამე. შემდეგ ისევ გზა. რუსეთი, უკრაინა, საქართველო, აფხაზეთი, მოლდოვა, ინდონეზია, სერბეთი, მაკედონია...*

აღარ უნდა არსებობდე, რომ არ გააგრძელო მოგზაურობა, რომ არ გაჩერდე და ნელ-ნელა პეიზაჟის ნაწილი გახდე. დაღლილობა, სიჩუმე. უცნაური მდგომარეობა. ავტობუსის ფანჯრიდან ფოტო უნდა გადაიღო და უკან, სახლში დაბრუნდე“.

ფოტოგრაფი მოგზაურობის განსაკუთრებულ სიყვარულს თბილისშიც გვიმხელს: *„მიყვარს მოგზაურობა და ახალი ადგილების შეცნობა. საინტერესოა, რამდენად უცხოა თავიდან ახალი ადგილი და როგორ ნელ-ნელა ვიწყებთ მის შემჩნევას, დეტალების ამოცნობას. მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებ გადაღებას“.*

კლაუდი სლუბანი არაერთი დიდი ფოტოგრაფიული სერიის ავტორია, რომელსაც მიღებული აქვს ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ფოტოგრაფიული ჯილდოები, მათ შორის ნისეფორ ნიეფსის სახელობის პრიზი 2000 წელს და ლეიკას პრიზი 2004 წელს; საფრანგეთის კულტურის სამინისტროს პრიზი, ევროპის გამომცემელთა ასოციაციის მთავარი პრიზი. იფინება ევროპის, ლათინური ამერიკის, ჩინეთის და ბალკანეთის წამყვან სამუზეუმო თუ კერძო საგამოფენო სივრცეებში, 2001 წელს მისი ფოტოსერია „შავი ზღვა – ზამთრის მოგზაურობა“ თბილისის ისტორიის მუზეუმშიც გამოიფინა.

დღეს კი ევროპის ყველაზე ავტორიტეტული ნიეფსის პრემიის მფლობელი ფოტოგრაფი, ბოლო დროის ყველაზე დიდი და გამორჩეული ექსპოზიციით თბილისს სტუმრობს და სახეებითა და შუქით შექმნილი ფოტოებით თბილისელ დამთვალიერებელზე მაგიურ შთაბეჭდილებას ახდენს – ფოტოკოლექცია ფრანგი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს, გერნზში 15-წლიან გადასახლებას ასახავს. ფოტოგრაფი ნეგატივზე შუქის დამატებითი შეტანით ქმნის განწყობას და ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს, ფოტოები არა დღევანდელობაში, არამედ საუკუნის წინ ნიეფსის მიერაა აღბეჭდილი, რომელმაც ნეგატივზე ერთ-ერთმა პირველმა სცადა შავი და თეთრი შუქ-ჩრდილების არეკვლით მიეღო გამოსახულება.

ფოტოგრაფი ჰოტვილის სახლს გერნზში ასე აღწერს: „ინგლისურ-ნორმანული კუნძულები, კერგელენის არქიპელაგინად *ცენტრალური ამერიკისკენ მიმავალი ერთი შუალედური ეტაპია. უკან არქიპელაგის გაუსაძლისი სიმარტოვე, მსუსხავი ქარი და პინგვინები. წინ კი ცენტრალური ამერიკის უქმად მოყიალე ახალგაზრდები, ქუჩის ველური ბანდები და საპატიმროების საკნები.*

ჰოტვილ ჰაუზის მონახულების აზრი, სახლისა, რომელშიც ვიქტორ ჰიუგომ გადასახლების 15 წელი გაატარა, დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდა. ამგვარი მოგზაურობა წარსულშიც ბევრი მქონია. მაგალითად, ჩეხოვის სახლი იტალიაში, ან თუ გნებავთ ანა ახმატოვას კომუნალური ბინა სანკტ-პეტერბურგში. ყოველი ასეთი სტუმრობისას, ერთობ საცნაური ხდება „ადგილის სული“, შენც პატივისცემითა და კრძალვით იმსჭვალები და ასე გგონია, სადაცაა მწერალს, რომელიც ჭიქა ჩაის დასალევად მეზობელ ოთახში წამით შეყოვნდა, პირისპირ შეხვდები.

ჰოტვილ ჰაუზში დაუოკებელი სურვილი გეძალება შეიცნო და გაითავისო შემოქმედის დიდი ტკივილი, რომელიც ესოდენ ნათლად იგრძნობა და ეს შთაბეჭდილება მთელი წელი მოგყვება.

ზამთარში დაცლილი სახლი აჩრდილებს უღებს კარს. აქ ერთურთს გადაეხლართა ცხოვრება და ლიტერატურა. ინტერიერში ყოველივე ზედმიწევნითი სიზუსტითაა გათვლილი და განლაგებული, ერთმანეთში მორგებული, იფიქრებ, ყოველივე სახლის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და სტუმარსაც არაფერი უშლის ხელს მშვიდად მოიხილოს იქაურობა.

ჰოტვილ ჰაუზი სოფლის საცხოვრებელი ან სააგარაკო სახლი არ გეგონოთ, მართალი თუ გნებავთ, ცოტას თუ გაუწევს გული აქ დასაბინავებლად. ვიქტორ ჰიუგოს შვილებიც შეიძლება ხშირად საყვედურობდნენ მამას, მაინცდამაინც ამ სახლზე რომ შეაჩერა არჩევანი.

მონასტრის მკაცრი, პირქუში ატმოსფერო მიბიძგებს დინჯად გავუყვე ამ სახლი-წიგნის დერეფნებს, გონებით მივყვე სიუჟეტის განვითარებას, სიტყვაუხვ მსჯელობას, გადახვევებს, წიაღსვლებს, ან თუნდაც მხატვრული ქარგის მიმართულების მოულოდნელ ცვლას – როცა სიბნელეს მკვეთრი ენაცვლება და ზმანებების ჟამი დგება“.

მისივე სიტყვებით გამორჩეულ ადგილებში გამორჩეულ ადამიანებს ხვდები: *„ოდილ ბლანშეტი, ჰოტვილ ჰაუზის მეთვალყურე და მისი ღირსეული გუნდი, ჟერარ ოდინე, ვიქტორ ჰიუგოს პარიზის სახლ-მუზეუმის დირექტორი, რომელსაც თან ახლავს ალექსანდრინ აშილი, ჟან-კრისტოფ გოდე, გერნზის ფოტოფესტივალის დირექტორი. თითოეულმა თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი პროექტის განხორციელებაში.“*

გამოფენა „ცხოვრება გადასახლებაში“ 2015 წლის Tbilisi Photo Festival-ის ფარგლებში მიმდინარეობს და მას საქართველოს მწერალთა სახლი მასპინძლობს.

„ცხოვრება გადასახლებაში“ – კლაუდი სლუბანის ბოლო დიდი ფოტოპროექტი გადაღებულია 2013 წელს გერნზში (დიდი ბრიტანეთი).

„პირველ რიგში არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი აღფრთოვანება მწერალთა სახლისადმი, რომელიც ვფიქრობ, საუკეთესო სივრცეა თბილისში ამ პროექტის წარსადგენად. ეს სახლი საკუთარი შინაგანი იდუმალებით წააგავს გერნზში მყოფ მისტიკურ სახლს, სადაც თითოეული ნივთი და ოთახი ინახავს დიდ ისტორიას. „ცხოვრება გადასახლებაში“ ჩემი ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტო პროექტია. რა თქმა უნდა, ტექსტმა და ნარატივმა, რომელიც ვიქტორ ჰიუგომ ამ წლებში შექმნა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შევეცადე ის განწყობა, რომელიც მარტომყოფმა ადამიანმა შეიძლება იგრძნოს, ჩემეული, უკვე აბსოლუტურად განსხვავებული რაკურსით, წარმომედგინა“ – ამბობს კლაუდი სლუბანი.

მისეული რაკურსი მართლაც განსხვავებულია – აჩრდილებით გადმოცემული მწერლის განწყობა, ძველი მისტიკური სახლი, სადაც თითქოს არავინაა, მაგრამ მაინც სიცოცხლეს ჩრდილებში ეძებს ან სხივებში, სინათლეში...

„ჰიუგომ თხუთმეტი წელი, ფაქტობრივად, მარტოსულმა გაატარა ამ კუნძულზე. გამოფენა მის სახლს და ახლომდებარე ადგილებს მოიცავს, სადაც ხშირად დადიოდა. შევეცადე ის განცდები და, პირველ რიგში, სევდა, რომელსაც მწერალი ატარებდა, თითოეული ნივთით თუ უბრალოდ ფანჯრიდან შემომავალი სინათლით გადმომეცა.“ – ამბობს ფოტოგრაფი. ნამდვილი ფოტოგრაფიაც ხომ ეს არის – საკუთარი თავის ძიება და ყოველდღიურ მოვლენებში განსაკუთრებულობის დანახვის შესაძლებლობა. *„დღეს ყველა ჩვენგანს შეუძლია გახდეს ფოტოგრაფი, მაგრამ ცოტამ თუ იცის ხელოვნების ამ დარგის ინტელექტუალური დატვირთვისა და მნიშვნელობის შესახებ. შეხედო ყველაფერს ფოტოგრაფის თვალით, ნიშნავს შეიძინო ახალი თვალები.“* – განაცხადა გამოფენის გახსნაზე გერნზის ფოტოფესტივალის დირექტორმა, **ჟან-კრისტოფ გოდემ.** გახსნას ესწრებოდნენ ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლები და საფრანგეთის ელჩი საქართველოში **რენო სალენსი**.

„არსებობენ ფოტოგრაფები, რომლებიც ფიქრობენ, როგორ განალაგონ ფიგურები საკუთარ ფოტოებზე, თუმცა კლაუდი არის ადამიანი, რომლისთვისაც ამ ფიგურების სათქმელის სწორად გადმოცემა უფრო მნიშვნელოვანია.“ – აღნიშნა **რენო სალენსმა**.

„ცხოვრება გადასახლებაში“ გერნზის ფოტოფესტივალის და ვიქტორ ჰიუგოს მუზუმის ერთობლივი პროექტია.

„ბევრი ფოტოგრაფი სტუმრობს და ფირზე აღბეჭდავს ღირსშესანიშნავ ადგილებს. ზოგს თვით ეს ადგილები სტუმრობენ. ასე იყო კლაუდი სლუბანის შემთხვევაშიც. ის, როგორც ფოტოგრაფი, ვიქტორ ჰიუგოს მიმწუხრის გონებისა და გენის, მასთან ერთად, ჰოტვილ ჰაუზის მომნუსხველი იდუმალების ტყვეობაში აღმოჩნდა, საკვირველი სულაც არ გახლავთ. ბნელით მოცულ შემოქმედებას, რომელიც აგერ უკვე 20 წელია გრძელდება, არ შეიძლება არ მიეყვანა შემოქმედი ამ გადასახლების ადგილთან, ამ ლაბირინთივით სახლთან, რომელშიც ახლაც იგრძნობა მწერლის ძალუმი სუნთქვა...

ღამეული ფრინველის გამჭოლი მზერა უნდა გქონდეს, რომ იღვაწო ჩრდილებით, კედლებზე აკრული ფერადოვანი ქაღალდებით ხის ბოძებით სავსე ადგილას და შეძლო კედლებისა და სქელი ტიხრების მიღმა ჩასწვდე კუთხეში მიყუჟული სკივრის ან დერეფნის მოსახვევში ატუზული კარადის იდუმალებას, ამოიცნო „ადგილის სული“, ფარული არსი და საიდუმლო. სახლი, რომელშიც ამობურცულ სკივრებში მრუდად ირეკლება მბრუნავი მაგიდების მისტერია და ჩინური ჩრდილების ლაციცი.

ფოტოგრაფი ყოვლის მხილველიც უნდა იყოს, რათა შეძლოს ამოიკითხოს სახლი-პალიმფსესტის წინადადებებს შორის სიცარიელეები, თუმცა კი ამით იქმნება შუქჩრდილებით შეფერილი სახლის ყველა გამოცანის ახსნა, სახლისა, რომელსაც კლაუდი სლუბანის თვალი ხან შავ, ხან კი სინათლით სავსე სკივრად წარმოადგენს.“ – ასე აფასებს პროექტს და კლაუდი სლუბანის ხედვას **ნატაშა ვოლინსკი**.

განსხვავებული ხედვითა და მისტიკური შუქჩრდილებით გაცოცხლებული თითოეული ნეგატივი გადასახლებაში მყოფი ჰიუგოსა და ევროპის ყველაზე პოპულარული ფოტოგრაფის საოცარ ტანდემს ქმნის, რომელიც ქართველი დამთვალიერებლისთვის 2015 წლის ფოტოფესტივალის მიერ გაკეთებული ერთ-ერთ საუკეთესო საჩუქარია – *„თითეული ნივთით თუ უბრალოდ ფანჯრიდან შემომავალი სინათლით გადმოცემული“* სლუბანისეული რაკურსი.

ლალი ჯელაძე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >